დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

1. ირმა ხუციშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
2. ხათუნა ნოზაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
3. ეკა კობიაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);
4. გვანცა მოლაშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);
5. ნათია მაკრახიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);
6. ხათუნა მარკოზაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);
7. ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);
8. ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);
9. ქეთევან ქობალია (სპორტის საგნობრივი ექსპერტი);
10. ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	203850699

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N2
ფაქტობრივი მისამართი	პეტრე მელიქიშვილის ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი	0179
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://rb.gy/13hs5
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi51@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577929000

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძნება N983648 10.08.2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	21.09.2023 – 22.09.2023

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	თბილისი, პ. მელიქიშვილის ქუჩა N2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანანმშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სსიპ ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივი ექსპერტები ონლაინ რეჟიმში გაესაუბრნენ მასწავლებლებს, მოიპოვეს მათთვის საჭირო

ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	**აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა**	**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა**

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სკოლას რადიო "საქართველოს ხმასთან" გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე მოსწავლეების მიერ მზადდება ყოველკვირეული გადაცემა „მოსწავლის ხმა". გადაცემებს მოსწავლეები თავად გეგმავენ. გადაცემა უკვე 4 წელია გადის ეთერში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

	☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2000	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		.....

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	
ინდიკატორი N3.4.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*სკოლამ წარმოადგინოს* დასკვნა *შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე.* ***შესრულების ვადა - 06.10.2024***
ინდიკატორი N3.5.1.1	*სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;*	*სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღიჭურვოს ამწოვი კარადით.* ***შესრულების ვადა - 10.10.2024***
ინდიკატორი N3.5.1.3	*სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;*	*სკოლამ უზრუნველყოს სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა ეტლით* მოსარგებლე მოსწავლეებისთვის. ***შესრულების ვადა - 10.10.2024***
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N....		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N N3.4.1.	*სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას*	*მიზანშეწონილია:* *1. სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი;* *2. საშტატო განრიგის შესაბამისად, სკოლაში დასაქმდეს ექთანი.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი N....		.....

VII. **წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. **ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ:

• III სტანდარტის 3.4.1.1 და 3.5.1.1 ინდიკატორები რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი", ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;
• III სტანდარტის 3.1.2.3 ინდიკატორი, შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,,შესაბამისი".

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია
1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები
1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა სკოლის მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თანასწორუფლებიან და მხარდამჭერ გარემოში თავისუფალი პიროვნების აღზარდაზე, რომელიც

აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ და მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უკეთესი მსოფლიოს შექმნაში; აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. ხედვის თანახმად, სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისაკენ. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თანასწორუფლებიან და მხარდამჭერ გარემოში თავისუფალი პიროვნების აღზარდაზე, რომელიც აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ და მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უკეთესი მსოფლიოს შექმნაში; აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. ხედვის თანახმად, სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისაკენ. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექტორის, 2023 წლის 12 ივნისს N1/კ-123 ბრძანებით, შეიქმნა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი. ბრძანების შესაბამისად, ჯგუფი დაკომპლექტებულია მასწავლებლებით. სკოლის დირექტორის განცხადებით, სამუშაო ჯგუფი შეიქმნა ზაფხულში, არდადეგების პერიოდში, შესაბამისად გართულდა ჯგუფში მოსწავლეების და მშობლების ჩართულობა. თუმცა ისინი, ისევე როგორც სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელები, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ონლაინ გამოკითხვის საშუალებით. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში განთავსებული იყო ბმული, რომლის საშუალებითაც დანტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ საკუთარ აზრი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელები, სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართულები იყვნენ ონლიან გამოკითხვის საშუალებით. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში განთავსებული იყო ბმული, რომლის საშუალებითაც დანტერესებულ პირებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ საკუთარ აზრი მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შემუშვდა მისიის, ხედვის და ღირებულებების საბოლოო ვერსია. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია

სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით. სასკოლო სასწავლო გეგმა გამოკრულია სკოლის ყველა სართულზე საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ფილოსოფია (მისია, ხედვა, ღირებულებები) გაზიარებული სკოლის ვებ გვერდზე. თვალსაჩინო ადგილზე არის გამოკრული სასკოლო სივრცეში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების შესაბამისად, სკოლის სახელწოდებაა “გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლა”.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია*
2. *2023 წლის 12 ივნისს N1/კ-123 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულების მეთოდოლოგიის შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“*
3. *სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)*
4. *სკოლის ვებ გვერდი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელის თანახმად სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართულია სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება (სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი), სამეურვეო საბჭო, თემი. მეთოდოლოგიური დოკუმეტის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, რაც უზრუნველყოფილია პროცესების სამუშაო ჯგუფის ფორმატში წარმართვით და დაინტერესებულ მხარეებთან დოკუმენტების პროექტების გაზიარებით; სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა შვიდ წელზე გათვლილი სტრატეგიული განვითარების გეგმა. როგორც ავღნიშნეთ, სკოლის მისიის შესაბამისად, სკოლა ორიენტირებულია თანასწორუფლებიან და მხარდამჭერ გარემოში თავისუფალი პიროვნების აღზარდაზე, რომელიც აცნობიერებს პასუხისმგებლობას საკუთარი ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ღირებულებების მიმართ და მზადაა, მონაწილეობა მიიღოს უკეთესი მსოფლიოს შექმნაში; აღჭურვოს იგი თანამედროვე ცოდნითა და უნარებით სწრაფად ცვალებად სამყაროში წარმატებული თვითრეალიზაციისათვის. ხედვის თანახმად, სკოლაში თითოეული მოსწავლე თავს გრძნობს დაცულად და მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების სრულყოფისაკენ. სკოლა წარმოადგენს სივრცეს, რომელშიც მუდმივად ხდება ცოდნის გაზიარება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესების მხარდასაჭერად. სტრატეგიული განვითრების წარმოდგენილი გეგმის თანახმად, სკოლას დაგეგმილი აქვს 2023-2030 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება; ადამიანური რესურსის განვითარება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. სკოლის სტრტეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 08 სექტემბერის სხდომაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან. სამოქმედო გეგმა განხილულია პედაგოგიური საბჭოს მიერ და დაამტკიცა სამეურვეო საბჭომ 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომაზე. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე, იქმნება სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისათვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმა მოიცავს სტრატეგიული მიზნებს, ამოცანებს, აქტივობებს (საჭიროების შემთხვევაში - ქვეაქტივობებსაც), შესრულების ინდიკატორებს, განხორციელების ვადებს თვეების ჭრილში, პასუხისმგებელ პირს/სტრუქტურული ერთეულს, შემსრულებელ პირს/სტრუქტურულ ერთეულს, შესაბამის რესურსებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
2. *სკოლის ფილოსოფია*
3. *სტრატეგიული განვითერების შვიდწლიანი გეგმა*
4. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა განახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგიც. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას გაუწევს სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში სამჯერ, განხორციელების მესამე, მეხუთე წელს და ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შეფასების პროცესის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს აღნიშნულ დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა; ასევე, შეფასების შედეგები სკოლის მენეჯმენტს მისცემს ინფორმაციას დაგეგმვის პროცესის ხარისხის, არსებული გამოწვევების და პრობლემების შესახებ. შეფასების შედეგებს სკოლა გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვრისა და ივნისის ბოლო კვირაში, სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით, იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. შეხვედრას დააოქმებს სამუშაო ჯგუფის მდივანი, რომელიც უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შეგროვებას. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის, სტრატეგიული გეგმის მესამე, მეხუთე და მეშვიდე წელს შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. ანგარიშის გაზიარებისთვის ასევე გამოყენებული იქნება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხები - სოციალური მედია, გადაცემათა ციკლი „მოსწავლის ხმა“ Fm 107.9-ზე (რადიო საქართველოს ხმის მიერ სკოლისთვის გამოყოფილი პლატფორმა).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ დაიწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს ინიცირების წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
2. *სტრატეგიული განვითერების შვიდწლიანი გეგმა*
3. *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუქნციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთულები: დირექცია, ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, მრჩეველთა საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმართველობა. სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-824 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები. აღნიშნული ბრძანებითა და შრომითი ხელშეკრულებებით, მკაფიოდაა განსაზღრვული სკოლაში სტრუქტურული პირების ფუნქციები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. სამოქმედო გეგმაში გაწერილია კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები. სამუშაო აღწერილობები შეესაბამება სამოქმედო გეგმაში გაწერილ პასუხისმგებლობებს. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-824 ბრძანება

2. შრომითი ხელშეკრულებები

3. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესი, რომლის თანახმად ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; სახელფასო სისტემის, როგორც წახალისებით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებით; პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და სასკოლო სივრცეში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებული პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. 2020 წლის 27 ნოემბრის N2-551 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და მისი დებულება. დებულების თანახმად, ჯგუფის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. საჭიროებების შესაბამისად, შესაძლებელია დაიგეგმოს სხადასხვა აქტივობები - თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, ტრენინგების ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმეტში აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში კადრების შერჩევა ხდება ობიექტურობის პრინციპის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, ცხადდება კონკურსი და ქვეყნდება შესაბამის გვერდზე. განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურის ეტაპები, ვადები. კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით.

სკოლის თანამშრომლეთა პირად საქმეებში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები: უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა.

სკოლამ წარმოადგინა, სკოლაში დასაქმებულ პირებზე გაცემული მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში დასაქმებულია 144 პედაგოგი - 63 უფროსი, 77 წამყვანი, 4 მენტორი. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-824 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები და განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები სკოლაში არსებული თითოეული საშტატო ერთეულის მიხედვით. სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშვების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს კურიკულემების შემუშვებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია პერსონალის მართვისას მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვის მიმართულებით აქტივობები, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს და საგნობრივ კათედრებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარამტებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შეესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:

ა) მადლობის გამოცხადება;
ბ) სიგელით დაჯილდოება;
გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

წახალისება გათვალისწინებულია ადამიანური რესურსების მართვის წესით, რომლის თანახმად, მოხდება დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების მიზნით წახალისების სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა და განხორციელება.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები მასწავლებელთა წახალისების სისტემის დანერგვის, ასევე მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარების მიმართულებით. ასევე კათედრის დებულებით, კათედრა უზრუნველყოფს კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარებას, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრას და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

1. *ადამიანური რესურსების მართვის წესი*
2. *შინაგანაწესი*
3. *ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*
4. *2023-2024 სამოქმედო გეგმა*

5. *2023 წლის 21 სექტემბრის N2-824 ბრძანება „თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“*
6. *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
7. *კათედრის დებულება*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანამხად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

• რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
• რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭრის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთადსწრების შედეგების განხილვა და ანალიზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. როგორც ავღნიშნეთ, სკოლას შემუშვებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესი, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას.

სკოლაში შემქნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ფუნქციაა მასწავლებლის საქმიანობაზე (მათ შორის საგაკვეთილო პროცესზე) დაკვირვება, შეფასება და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემა. კათედრებზე ხდება ურთიერთდასწრების შედეგების განხილვა და ანალიზი. 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები თანამშრომელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის, თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვის მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ადამიანური რესურსის მართვის წესის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს პერსონალის განვითარებას დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდების გზით; პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით (ტრენინგი, სწავლება, მონიტრინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა).

მიმდინარე წელს სკოლის მიერ სტატუსის ამღლებაზე წარდგენილ იქნა 9 პედაგოგი. სტატუსი მიენიჭა 8 პედაგოგოს. მათგან ერთს - მენტორის , ხოლო შვიდს - წამყვანის სტატუსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას დამტკიცებული აქვს ინსტრუქცია ახალი თანამშრომლის ადაპტირებისთვის. აღნიშნული ინსტრქუციით გათვალისწინებული აქტივობები ხელს შეუწყობს ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციისა და სოციალიზაციის პროცესს. მოხდება სკოლაში ახალი თანამშრომლის წარდგენა, თანამშრომლის დამატება სკოლის დახურულ ჯგუფში სოციალურ ქსელში. თანამშრომლისთვის მისასალმებელი

პოსტის დადება სკოლის დახურულ ჯგუფში სოციალურ ქსელში/სკოლის ელექტრონული ფოსტიდან მისასალმებელი ტექსტის გაგზავნა და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ადამიანუროს რესურსების მათვის წესის თანახმად, ადამიანური რესურსების სწორი მართვა უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნას, სადაც თითოეულ თანამშრომელს ეძლევა საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზების შესაძლებლობა, სკოლის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში. პერსონალის წახალისების ფორმები განსაზღრულია შინაგანაწესით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ადამიანური რესურსების მართვის წესი*
2. *შინაგანაწესი*
3. *ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება*
4. *2023-2024 სამოქმედო გეგმა*
5. *დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N2-562 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის წესის, ახალი თანამშრომლის ადაპტირების ინსტრუქციისა და მშობლებთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშვებული აქვს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია, რომლის თანახმად, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესები ემსახურება სკოლის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტ შეფასებასა და განვითარებას. აღნიშნული პროცესების ფარგლებში გამოიყენებული იქნება სისტემური და საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევები/შეფასებები, რომელთა შედეგებზე დაყრდნობით მიიღება გადაწყვეტილებები დაწესებულების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. საჭიროებაზე დაფუძნებული კვლევების/შეფასებების მეშვეობით მოხდება კონკრეტული პრობლემის მიზნობრივი კვლევა, რაც იძლევა პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ორიენტირებული ინტერვენციის განხორციელების შესაძლებლობას. ასეთი კვლევების საკითხი შეიძლება იყოს: დაბალი აკადემიური მოსწრების, მობილობით მოსარგებლე, სპეციალური საჭიროებების მქონე, სტატუსშეჩერებული, რისკის ქვეშ მყოფი, უცხოელი/ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეების საჭიროებების კვლევა და ა.შ. შიდა ხარისხის კვლევების/შეფასებების მიზნებისთვის გამოიყენება როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. კვლევები განხორციელდება წინასწარ შემუშავებული ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშვებული და დამტკიცებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, ასევე სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს გეგმების განხოციელების მონიტორინგს, კურუკულიმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლებიც არეგულირებს მმართველობით, ძირითად პროცესებს.

დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-824 ბრძანებით დამტკიცებულია თანამდებობრივი ინსტრუქციები. დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-785 ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკის დებულება, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის 22-ე მუხლის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი უნდა გატარდეს და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონით დადგენილი წესით. სკოლის დირექტორის 2023 წლის 16 ივნისის N2-560 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები. დირექტორის მიერ გამოცემულ სამართლებრივ აქტებში მითითებულია გასაჩივრების ვადა და ადგილი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების უფლებების დაცვის მექანიზმი განსაზღვრულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომელსა და სკოლას, მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია
2. *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*
3. *კურუკულიმის შემუშავების მეთოდოლოგია*
4. *შინაგანაწესი*
5. *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება*
6. შრომითი ხელშეკრულება

7. *დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-785 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში ბიბლიოთეკის დებულების და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“*
8. *დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-784 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში თანამდებობრივი ინსტრუქციების დამტკიცების შესახებ“*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-826 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და შესაძლებებლი იყოს მისი გადამოწმება. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს, სკოლა გამოიყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. მართვის პროცესებთან დაკავშირებული ინფორმაცია ქვეყნდება საინფორმაციო დაფაზე, სოციალური ქსელში.

2023 წლის 16 ივნისის N2-562 ბრძანებით, სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მშობლებთან კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, მშობლების ინფორმირების საშუალებებია მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრების, ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, სოციალური ქსელი, SMS შეტყობიენები, საგნის მასწავლებელთან ინდივიდუალურ შეხვედრები. მშობლებთან შეხვედრაზე სოციალურ ქსელში განიხილული იქნება სხვადასხვა გადაწყვეტილებები (წესები, რეგულაციები, შეფასების სისტემა, დავალების ტიპები/სირთულე/მოცულობა, დავალების შესრულების პროცესში ბავშვის დახმარების მეთოდი); ასევე, სოციალური ქსელის დახმარებით მოხდება მშობლების/ბავშვების საჭიროებების კვლევა/გამოკითხვა.

2023-2024 წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სასკოლო ცხოვრებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერების მიმართულებით. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია მშობელთა კმაყოფილების კვლევა, შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესება.

სკოლას აქვს სასკოლო საზოგადოების ონლაინ კითხვარების საშულებით გამოკითხვის გამოცდილება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული ერთი წარმომადგენელი; დისციპლინური კომიტეტი, რომელშიც თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე; სკოლაში, კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა; მრჩეველთა საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან დირექციის, სტრუქტურული ერთეულებისა და რესურსცენტრის წარმომადგენლები, განიხილავს სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს. სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, სკოლაში იქმნება სამუშაო ჯგუფი (ისგ), რომლის შემადგენლობაში შედიან საგნის მასწავლებლები, დამრიგებელი და მშობელი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2023 წლის 16 ივნისის N2-562 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლაში ადამიანური რესურსების მართვის წესის, ახალი თანამშრომლის ადაპტირების ინსტრუქციისა და მშობლებთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ“*
2. *2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა*
3. *დირექტორის 2019 წლის 23 სექტემბრის N1/კ-251 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის № 51 საჯარო სკოლაში, სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სფეროში მანდატურისა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მოქმედების უზრუნველყოფის მიზნით უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ“*
4. *სამეურვეო საბჭო*
5. *„სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის საარჩვნო კომისიის სხდომის ოქმი N1“*
6. *სკოლის დირექტორის 2022 წლის 30 სექტემბრის N2-485 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ა. ქ. სთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების (ისგ)შექმნის შესახებ“*
7. *სკოლის დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-826 ბრძანება საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები. შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები. სკოლაში დასაქმებული 5 მანდატური. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია სათვალთვალო კამერები. სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით, სკოლის დერეფნებში განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და საავარიო სიტუაციის გასასვლელი მიმართულების მაჩვენებლები, სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ცხელი ხაზი, სამინისტროს ნომერი, საქართველოს სახალხო დამცველის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, რომლის კვლიფიკაცია შეესაბამება კანონმდებულობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. სკოლაში, საშტატო განრიგის შესაბამისად, გათვალისწინებულია ექთნის სამუშაო ადგილი, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში ექთნის ვაკანსიაა. ექიმის კაბინეტი აღჭურვილია საჭირო ინვენტარით. სკოლაში აკრძალულია

თამბაქოს მოხმარება და დამტკიცებულია სკოლის შენობასა და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი წესი. 2019 წელს განხორციელდა სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რის საფუძველზე სკოლამ მიიღო N502 მიწერილობა განსახორციელებელი ღონისძიებების თაობაზე. რეკომენდაციების შესრულების ვადები ამ დროისთვის ამოწურულია. მიმდინარე ეტაპზე სკოლას შედგენილი აქვს სახანძრო-საგანგეშო სისტემების პროექტი, რომლის ფინანსური უზურნველყოფის თაობაზე მიმართა სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს. სკოლას არ აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეანხმებული საგანგებო სტუაციების მართვის გეგმა. არ არის წარმოდგენილი დასკვნა შენობის მდგრადობის თაობაზე. თუმცა, სკოლას, 2023 წლის 07 ივნისს, ბიუროში შეტანილი აქვს განაცხადი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესწავლისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების განსაზღვრასთან დაკავშირებით. მიზანშეწონილია, სკოლას ჰყავდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლაში დასაქმდეს ექთანი.

სკოლამ წარმოადგინა:

- **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 2023 წლის 13 ოქტომბრის წერილი, რომლის თანახმად აღნიშნულმა სამსახურმა შეითანხმა სკოლის მიერ წარდგენილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;**

- **სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე დასკვნის წარმაოდგენას.

შესრულების ვადა - 06.10.2024.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში რეგულირდება უცხო პირთა შესვლა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, სკოლის მანდატურებთან ერთად, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის დროს სართულების მიხედვით შემუშავებული პედაგოგთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში აკრძალულია თამბაქოს მოხმარება და დამტკიცებულია სკოლის შენობასა და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების ამკრძალავი წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით. 2023-2024 წლების სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებულია აქტივობები მოსწავლეთა მხარდაჭერის მიმართულებით. კერძოდ, მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის დანერგვა, სწავლა-სწავლების პროცესში მხარდამჭერი გარემოს შექმნა და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციების შეთავაზება, კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობა, სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმის დახვეწა, კლუბების/წრეების ფუნქციონირება, შესაბამისი სასწავლო აქტივობების დაგეგმვა (გასვლითი გაკვეთილები, მიზნობრივი ექსკურსიები და ა.შ.) ორგანიზება. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას ჰყავს 8 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ბრძანებით არის განსაზღრული დასუფთავება - ჰიგიენასა და მატერიალური რესურსების შესაბამისობაზე კონტროლის განმახორციელებელი პირი. სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლის დირექტორის 2023 წლის 09 სექტემბრის N2-828 ბრძანებით დამტკიცებულია სასკოლო ჰიგიენისა და სამედიცინო დახმარების წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-825 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მონაცემები მუშავდება კანონიერად და კონკრეტული მიზნის მისაღწევად, სამართლიანად და კანონიერად, მონაცემთა სუბიექტის ინტერესთა დაცვით, მიზნის პროპორციულად, კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და მიზნის შეუსაბამო მონაცემები უნდა განადგურდეს. მოსწავლის პერსონალური მონაცემების დამუშვება ხდება მშობლების თანხმობის საფუძველზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მიზნით პროგრამები, რომლებსაც სკოლა იყენებს ლიცენზირებულია, სკოლა იყენებს მხოლოდ განათლების სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებულ ინტერნეტს. სკოლაში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღრულია სკოლის პიარ მენეჯერი. ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge)

მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების შეტანაზე, ინფორმაციის კორექტირებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საინფორმაციო მენეჯერს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც განიხილავს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების. იმუშავებს რეკომენდაციებს, გეგმავს პრევენციულ ღონისძიებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *შინაგანაწესი*
2. *სკოლის დირექტორის 2016 წლის 11 ოქტომბრის N 2-585 ბრძანება „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“*
3. *სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის № 51 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 01 მაისის N 2-134 ბრძანება "სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 - საჯარო სკოლის შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ"*
4. *სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის № 51 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 24 ნოემბრის N1/კ-165 ბრძანება*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, არსებობის ვადით, სარგებლობაში აქვს გადაცემული შენობა ნაგებობა N1-N2-N3 და N4 საერთო ფართობით 5735.97კვ.მ, N5 (საქვაბე) - საერთო ფართობი 18,89 კვ.მ და მიწის ნაკვეთი 3719 კვ.მ. სკოლის ინფრასტრუქტურა, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი, პირველი და მეოთხე სართული რეაბილიტირებულია. სკოლა აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, სკოლას აქვს ორი კომპიუტერული ლაბორატორია; ორი - მცირე და დიდი სპორტული დარბაზი, ასევე ერთი ღია სპორტული მოედანი. სრულად რეაბილიტირებულია სააქტო დარბაზი. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი. ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა.

სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 სკოლას აქვს ორი ლაბორატორია: ბიოლოგიის და ქიმია- ფიზიკის (ერთობლივი). ბიოლოგიის კაბინეტს ახლავს პატარა ოთახი, სადაც განთავსებულია კარადები, სათავსოები. ბიოლოგიის კაბინეტი აღჭურვილია თვალსაჩინოებებით. შენახულია და დაცული მოსწავლეთა წინა წლის ნამუშევრები. დაცულია უსაფრთხოების წესები.

ქიმიისა და ფიზიკის ერთობლივ ლაბორატორიაში განთავსებულია კარადები საკეტებით. ლაბორატორიაში არის ონკანი, კარადებს აქვს საკეტები. სკოლას აქვს რეაქტივების მარაგი, ლაბორატორიული ჭურჭელი, ფიზიკის ხელსაწყოები. ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოების წესები და ლაბორატორიაში მუშაობის წესები. საბუნებისმეტყველო მეცნიერების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ლაბორატორიაში კლასების მუშაობა და აქტივობები გაწერილია შესაბამისი განრიგით, რომელიც განთავსებულია კარებზე. ძირითადად მიმდინარეობს უსაფრთხო, საჩვენებელი ექსპერიმენტების ჩატარება, თუმცა სამუშაო მაგიდაზე უნდა განთავსდეს მჟავა და ცეცხლგამძლე საფარი და ლაბორატორია უნდა აღიჭურვოს ამწოვი კარადით.

სკოლამ უზრუნველყო ლაბორატორიის აღჭურვა მჟავა და ცეცხლგამძლე საფარით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფს ლაბორატორიის ამწოვი კარადით აღჭურვას.

შესრულების ვადა - 10.10. 2024.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, ბიბლიოთეკის მუშაობის წესი. მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, სკოლის ბიბლიოთეკაზე, კომპიუტერულ და სხვა მატერიალურ რესურსებზე თანაბრად არის უზრუნველყოფილი წვდომა სკოლის თანამშრომლებისა და მოსწავლეებითვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შენობა არ არის სრულყოფილად ადაპტირებული. სკოლის შენობის გვერდით შესასვლელთან მოწყობლია პანდუსი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის შენობის პირველ სართულზე შესვლას. სკოლას აქვს რესურს ოთახი, პანდუსი, ადაპტირებული საპირფარეშო. სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფილი არ არის.

სკოლის ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები ხელმისაწვდომი არ არის შშმ პირთათვის.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზრუნველყოფილი იქნება სართულებზე გადაადგილების შესაძლებლობა ეტლით მოსარგებლე მოსწავლეებისათვის.

შესრულების ვადა - 10.10. 2024.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

4. სკოლაში არის ინტერნეტითა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით შეაღჭურვილი შეხვედრების ოთახი (ე.წ. Meeting Room), სადაც მოსწავლეები იკრიბებიან როგორც სასკოლო დროს შესაბამისი სასკოლო აქტივობების ფარგლებში ასევე, არასასკოლო დროს დირქციასთან შეთანხმებით; ეძლევათ საშუალება შეიკრიბონ, იმსჯელონ, განიხილონ კონკრეტული საკითხები, დაგეგმონ შესაბამისი ღონისძიებები. სკოლის დირექტორის განცხადებით, შეხვედრებისა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებისთვის, მოსწავლეები აქტიურად იყენებენ სკოლის ბიბლიოთეკას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა უზრუნველყოფილია კურიკულუმით განსაზღრული საჭირო რესურსებით. გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები და დამატებითი საგანმანათლებლო (მათ შორის, ელექტრონული) რესურსები; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). სკოლაში სსსმ მოსწავლეებისათვის არის მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის ვიზუალური დათვალიერება

2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

3. სკოლის დირექტორის 2023 წლის 19 სექტემბრის N2-785 ბრძანება „ბიბლიოთეკის დებულების და მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსებიu

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს 70 ცალი პერსონალური კომპიუტერი. 29 ცალი ლეპტოპი, 10 ცალი პროექტორი. სამუშაო პროცესში, კომპიუტერით უზრუნველყოფილია დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, საქმისმწარმოებლები, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, მანდატური, კომპიუტერი ასევე განთავსებულია რესურსოთახში. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *მატერილური რესურსებითსარგებლობის წესი*
2. *სკოლის ვიზუალური დათვალიერება*

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2022 წლის 19 მაისის N2-160 ბრძანებით, დამტკიცებულია საქმისწარმოების ინსტრუქცია. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია დოკუმენტებისა და შემოსული და გასული კორესპონდეციის რეგისტრაციის კანონმდებლობის შესაბასისი პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა „e-flow“, სადაც რეგისტრირდება შემოსული და გასული კორესპონდეციები, ბრძანებები. სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - tbilisi51@mes.gov.ge. სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eSchool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საქმისწარმოების ინსტრუქცია
2. Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება.

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებ გვერდი. ვებ გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის შესახებ; გვერდი სოციალური ქსელში (facebook), სადაც მუდმივად თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტები, კონკურსები, ინტელექტუალური შეჯიბრებები, ოლიმპიადები და სხვა) შესახებ ინფორმაცია. სკოლის დირექტორის განცხადებით, სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლას რადიო საქართველოს ხმასთან აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, რაც ხელს უწყობს მოსწავლის და მშობლის (საზოგადოების) აქტიურ ჩართულობას და მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებას სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღრულია სკოლის პიარ მენეჯერი. დირექტორის 2023 წლის 21 სექტემბრის N2-826 ბრძანებით დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლის ვებ გვერდი და სოციალური ქსელი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და მათი საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია უნდა იყოს უტყუარი და შესაძლებელი იყოს მისი გადამოწმება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ონლაინ კითხვარების საშუალებით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა დამკვიდრებული პრაქტიკაა. აღნიშნული მეთოდით მოხდა საზოგადოების აზრის გამოკითხვა სკოლის ფილოსოფიის შემუშავების პროცესში, ხდება მოსწავლეთ გამოკითხვა მეორე უცხო ენის და არჩევითი საგნის არჩევის თაობაზე. სკოლა გეგმავს აღნიშნული მიმართულებით აქტივობების გაძლიერებას. საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესის თანახმად, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს, სკოლა გამოიყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლაში სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდზე განთავსებულია სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია - მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა, სტრუქტურა, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2023 წლის 21 სექტემბრის N1/3 - 183 ბრძანება „სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის პიარმენეჯერის ნანა ერულაშვილის საჯარო ინფორმაციზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ“

2. სკოლის ვებ გვერდი

3. სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში

4. მიწერილობა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ძირითადად ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, თუმცა მას აქვს აგრეთვე ეკონომიური შემოსავლები, რომელსაც მიმართავს სკოლის საჭიროებებისაკენ. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, საჭიროებების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის კორექტირება და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. განსაზღვრულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინასური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *ფინანსური ანგარიში*
2. *ბაზრის კვლევა*
3. *ინვენტარიაზაციის მასალები*
4. *ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი*
5. *2022 წლის 12 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N15*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კონკრეტული რეგულაციები მოსწავლეთა უფლებების დაცვის მიმართულებით გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლის შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე მატერიალური სახით. I-II კლასის მოსწავლეებისთვის მასწავლებლებს მომზადებული აქვთ ილუსტრირებული ბუკლეტები, რომლებიც ასახავს ძირითად დებულებებს. აღნიშნული ბუკლეტები გამოკრულია საკლასო ოთახში. სკოლაში ფარული კენჭისყრით ხდება მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევა. მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე არის ამავდროულად სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი არის სკოლის დისციპლინური კომიტეტის წევრი. სკოლაში არის შეხვედრების ოთახi, რომელიც აღჭურვილია ინტერნეტითა და შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკით, სადაც მოსწავლეები როგორც სასკოლო დროს შესაბამისი სასკოლო აქტივობების ფარგლებში იკრიბებიან, ასევე, სასკოლო დროის მიღმაც სკოლის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით, ეძლევათ საშუალება შეიკრიბონ, იმსჯელონ, განიხილონ კონკრეტული საკითხები,

დაგეგმონ შესაბამისი ღონისძიებები და ა.შ. ამასთან აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იდება შესაბამისი ხელშეკრულება სკოლაში შემომსვლელ პირველკლასელ მოსწავლეებთან, სადაც გაწერილია სკოლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, უფლებათა დაცვის რეგულაციები და ვალდებულებები. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიმართ წარდგენილი განცხადების/საჩივრის განხილვის პროცედურები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, ცხელი ხაზის ტელეფონის ნომრები, განთავსებულია სკოლის დერეფანში საინფორმაციო დაფაზე მატერიალური სახით. I-II კლასის მოსწავლეებისთვის მასწავლებლებს მომზადებული აქვთ ილუსტრირებული ბუკლეტები, რომლებიც ასახავს შინაგანაწესის ძირითად დებულებებს. აღნიშნული ბუკლეტები გამოკრულია საკლასო ოთახში. როგორც ავღნიშნეთ, მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სკოლის მართვაში. ირჩევენ თავიანთ წარმომადგენლებს თვითმმართველობებში. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობლებთან შეხვედრის დღეები და დრო. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომელშიც გაწერილია უფლებები და ურთიერთობის ფორმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ყოველწლიურად იდება შესაბამისი ხელშეკრულება სკოლაში შემომსვლელ პირველკლასელ მოსწავლეებთან, სადაც გაწერილია სკოლისა და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, უფლებათა დაცვის რეგულაციები და ვალდებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის შინაგანაწესი*
2. *მოსწავლეთა თვიმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანება;*
3. *მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით საარჩევნო კომისიის შექმნის შესახებ" სკოლის დირექტორის ბრძანება;*

4. *თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი, სადაც დამტკიცდა თვითმმართველობის შემადგენლობა;*
5. *სკოლის“ 2022-2023 სასწავლო წლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები;*
6. *მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს, მოსწავლის უფლება-მოვალეობებს და სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციით და eschool - ის ბაზის ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ფუნქცონირებს სპარსული ენის წრე. ინფორმაცია წრის შესახებ საჯარადოაა ხელმისაწვდომი. განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე, სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში. სკოლაში, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ფუნქციონირებს ფრენბურთის, კალათბურთის, ცეკვის, ხელოვნების, გახანგრძლივებული სწავლების წრე. წრეების სახეობები შეესაბამება სკოლის მიერ განსაზღვრულ ნებადართული საქმიანობების ნუსხას. აღნიშნული წრეების თაობაზე ინფორმაცია გამოკრულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში საჯარო ინფორმაციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღრულია სკოლის პიარ მენეჯერი. სოციალური ქსელით და სკოლის ვებ გვერდით გავრცელებული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მასალები წრის ფუქნციონირების თაობაზე

2. 2023 წლის 21 სექტემბრის N1/კ - 183 ბრძანება „სსიპ გალაქტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის პიარმენეჯერის ნანა ერულაშვილის საჯარო ინფორმაციზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრის შესახებ“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის N2-558 დამტკიცებულია სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლაში I-XII კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვამდე მათი საჭიროების დასადგენად და შემდგომში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, ჩატარდება დიაგნოსტიკური შეფასება. შეფასების შედეგები შეინახება მოსწავლის პირად საქმეში. შეფასების შედეგები გადაეცემათ კლასში შემავალ მასწავლებლებს და დამრიგებელს, რათა მოსწავლესთან მუშაობა დაიგეგმოს მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დამრიგებლები გეგმავენ რიგგარეშე კლასის საათს ან და მშობლებთან შეხვედრას, სადაც მოხდება ახალი მოსწავლის/მშობლის გაცნობა, მოლოდინების და ინტერესების გაცვლა. შესაძლებელია დაიგეგმოს არაფორმალური აქტივობებიც. იგეგმება და ხორციელდება ჯგუფური სამუშაოები: მოსწავლეები მუშაობენ ჯგუფურად და „აგებენ მეგობარს“, რომელსაც ყველა სანიმუშო თვისება აქვს. მოსწავლეები შექმნიან რეკლამას, რომელიც მეგობრობის თვისებებს აღწერს. მოსწავლეები შექმნიან რეკლამას „იძებნება მეგობარი“, რომელშიც გადმოცემული იქნება ის პიროვნული თვისებები, ინტერესები, გატაცებები და აქტივობები, რასაც ისინი ეძებენ მეგობართან პატივისცემით სავსე ურთიერთობისთვის. მოსწავლეები გაითამაშებენ სცენას, თითქოს არიან „ჯგუფის წევრები“ და ხვდებიან ახალ ნაცნობებს. მნიშვნელოვანია, მოსწავლეს/მშობელს ჰქონდეს უკუკავშირის შესაძლებლობა, რა დროსაც შეძლებენ დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია, ამიტომ სკოლაში, წელიწადში ორჯერ წინასწარ შემუშავებული კითხვარების/პროტოკოლების მეშვეობით განხორციელდება მშობელთა/მოსწავლეთა კმაყოფილების კვლევა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში I-XII კლასებში მოსწავლეთა ჩარიცხვამდე მათი საჭიროების დასადგენად და შემდგომში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების მიზნით, ჩატარდება დიაგნოსტიკური შეფასება. შეფასების შედეგები შეინახება მოსწავლის პირად საქმეში. შეფასების შედეგები გადაეცემათ კლასში შემავალ მასწავლებლებს და დამრიგებელს, რათა მოსწავლესთან მუშაობა დაიგეგმოს მათი საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. დამრიგებლები დაგეგმავენ რიგგარეშე კლასის საათს ან და მშობლებთან შეხვედრას, სადაც მოხდება ახალი მოსწავლის/მშობლის გაცნობა, მოლოდინების და ინტერესების გაცვლა. შესაძლებელია დაიგეგმოს არაფორმალური აქტივობებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა წარმოადგინა მშობელთა კრების ოქმებები, რომლითაც დასტურდება, რომ სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აცნობებენ მშობლებს ინფორმაციას კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% -ის და მეტის გაცდენების გამო ექსტერნის გამოცდების დანიშვნის თობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია, რომ საშემოდგომო გამოცდამდე მოსწავლეს უნდა მიეცეს არანაკლებ 2 კვირის ვადა მომზადებისთვის. სკოლა ვალდებულია, გაუწიოს კონსულტაციები მოსწავლეს იმ საგანში, რომლებშიც მას დაენიშნა აღნიშნული ტიპის გამოცდა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე თვალსაჩინოდაა გამოკრული სკოლის შინაგანაწესი, 2023-2024 სასწავლო სასკოლოს გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულა კონსულტაციები საშემოდგომო გამოცდების დანიშვნის შემთხვევაში. საგნის სემესტრულ შეფასებას და მოითხოვოს ქულის ამაღლების მიზნით გამოცდის დანიშვნა. შესაბამისი გამოცდები ინიშნება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილლ ვადებში. სკოლაში დირექტორის ბრძანებით, გამოყოფილია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი, რომელიც ახდენს პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამის რეაგირებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა აქტიურია არაფორმალური განათლების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა შეაძლებლობებისა და ინტერესების რეალიზაციას.

სკოლაში ფუნქციონირებს სპარსული ენის წრე.

სკოლაში შექმნილია, „მედია კლუბი“. კლუბის ფარგლებში, სკოლის ბაზაზე, ხდება საინფორმაციო რადიო გადაცემების მომზადება. სკოლამ „რადიო საქართველოს ხმასთან“ გააფორმა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის საფუძველზე მოსწავლეების მიერ მზადდება ყოველკვირეული გადაცემა „მოსწავლის ხმა“. გადაცემებს მოსწავლეები თავად გეგმავენ. გადაცემა უკვე 4 წელია გადის ეთერში.

საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით სკოლა ჩაერთო პროექტში „კინო სკოლაში“. პროექტის ფარლებში, მოსწავლეებმა შეარჩიეს ტექსტი. დაევალათ შერჩეულ ტექსტზე ფილმის გადაღება. მოსწავლეებმა გადაიღეს ფილმი - „ძაღლის ყეფა შემოესმა ამ ფიქრებში გართულს“.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლა ჩართულია ნიკო კეცხოველის სახელობის სასკოლო პროექტის კონკურსში. ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემიის ფარგლებში სკოლაში ორი სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელდა გარემოსდაცვითი აქტივობები, რომელთა შორისაა 70 რადიო რადიო გადაცემა, 200-მდე საინფორმაციო შეხვედრა, საქველმოქმედო ღონისძიებები, დაირგო 50 ნერგი, გაშენდა საზოგადოებრი კოლეჯის „სპექტრის“ ეზოში 51-ე სკოლის სახელობის ხეივანი, ონითოლოგთა მხარდაჭერით ჩატარდა ფრინველებზე დაკვირვების ტური, ვაკის პარკში განათავსეს ფრივნელთა სახლები, მოხდა მათი აღრიცხვა და სახეობრივი შესწავლა, ჩატარდა 100-მდე დასუფთავების აქცია, გაიმართა გარემოსდაცვითი კონკურსები მოსწავლეების ცნობიერების ამაღლების მხრივ, თანამშრომლობა შედგა სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რეგიონებისა და საზღვრის პირა სკოლებს გადეცათ წიგნადი ფონდი. მად: ხაიშის, მარაბდას სკოლებსა და მცხეთის სასწავლო ცენტს. ქუჩებში დაიდგა უპატრონო ცხოველთა სახლები, ბავშვებმა პასუხისმგებლობა აიღეს მათ კვებაზე. სკოლაში დამონტაჟდა მზის პანელი.

ზოგადი განათლების რეფორმის ფარგლებში სკოლაში მომზადდა პროექტი სახელწოდებით „თანასწორობა“. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ითანამშრომლეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, სადაც სკოლის მე-7 კლასის მოსწავლეების ჩართულობით, მონაწილეობით ჩატარდა მოსწავლეთა შემოქმედებითი კონფერენცია „მემკვიდრეობა“. აღნიშნული კონფერენცია წარმოადგენს სკოლის საავტორო პროექტს. კონფერენცია მიეძღვნა აფხაზეთს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლამ წარმოადგინა მშობელთა კრებების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლამ მოსწავლეებს მისცა მეორე უცხო ენის არჩევის შესაძლებლობა, გამოკითხვის მასალები, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლეებს ჰქონდათ არჩვითი საგნის არჩევის საშაულება. მაღალ კლასებში, მოსწავლეები ონლაინ კითხვარების საშუალებით აფიქსირებენ საკუთარ არჩევანს. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს არაფორმალური აქტივობების დაგეგმის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლის დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის N2-558 „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების დამტკიცების თაობაზე“*
2. *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
3. *არაფორმალური აქტივობების ამსახველი ვიდეო მასალა*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში დანერგილი პრაქტიკაა სხვადასხვა სფეროს წარმატებულ წარმომადგენლების მოწვევა და მოსწავლეებთან შეხვედრის უზრუნველყოფა, რათა პირადი გამოცდილება გაუზიარონ მოსწავლეებს და მიაწოდონ ინფორმაცია მათი პროფესიების შესახებ. აღნიშნული მიზნით, სკოლაში მოწვეული იყო და შესაბამისი ლექცია ჩაატარა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე შოთა გეწაძემ; სკოლაში მოწვეული იყო ასევე სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელი ეკატერინე ახალკაცი, რომელიც მოსწავლეებს ესაუბრა როგორც მისი პროფესიის შესახებ, ასევე, ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით არსებული ბერკეტების თაობაზე (გასაჩივრების მექანიზმები); სკოლაში მოწვეულები იყვნენ ფსიქოლოგები; კადეტთა ლიცეუმის წარმომადგენლები, რომლებმაც პოპულარიზაცია გაუკეთეს სამხედრო კარიერას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებთან. თემის მეტად და შედეგიანად გაცნობის მიზნით, სკოლის მიერ იგეგმება ვიზიტები პროფესიულ სასწავლებლებში. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებრივ კოლეჯ „სპექტრთან“, სადაც მოსწავლეები და მშობლები ადგილზე ეცნობიან სასწავლო პროგრამებს. სკოლაში მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კავკასიის უნივერსიტეტი, კადეტთა ლიცეუმი), რომლებმაც მიაწოდეს მოსწავლეებს ინფორმაცია იმ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, რაც ქვეყანაში და კონკრეტულად მათ უნივერსიტეტებში არსებობს. აღნიშნული საინფორმაციო კამპანიები სკოლაში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადინა მშობელთა კრების ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ მეორე უცხო ენის და არჩვითი საგნის არჩევის საკითხი განხილული იყო მშობლებთან და არჩევანი განხორციელდა მათი ინტერესების გათვალისწინებით. მაღალ კლასებში, მოსწავლეები ონლაინ კითხვარების საშუალებით აფიქსირებენ საკუთარ არჩევანს. დირექტორის განცხადებით, სკოლა გეგმავს ანალიზისა და კვლევის საფუძველზე მაქსიმალურად გაითვალისწინოს სურვილები და მოლოდინები, რათა დაკმაყოფილდეს მოსწავლეთა მოთხოვნები; დირექტორის ბრძანებით განისაზღვრა სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა მომსახურების სტანდარტის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელ პირი, რომელიც იმუშავებს აღნიშნული მიმართულებითაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *სკოლი დირექტორის 2023 წლის 15 ივნისის N2-558 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმების დამტკიცებისა და მოსწავლეთა მომსახურების სტანდარტის გაუმჯობესებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“*
2. *მშობელთა კრების ოქმები*
3. *ონლაინ გამოკითხვის ელექტრონული ბმულები*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღრული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის, ისგ ჯგუფის შედგენის, სსსმ მოსწავლის შეფასების, შინ სწავლებზე გადაყვანის მექაზნიმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშვების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სსსმ მოსწავლეები ფასდებიან სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სკოლაში იქმნება ისგ ჯგუფი, რომელიც უზურნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ასევე იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალლური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს. ცნობადობის ამაღლების მიზნით, სკოლაში ჩატარდა სხვადასხვა ღონისძიება - დაუნის სინდრომის კვირეული, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა: შესაბამისი მხარდამჭერი კლიპის პრეზენტაცია, რომლის მონაწილეებიც არიან სკოლის მოსწავლეები, გაიმართა კინოჩვენებები და სკოლის სპეციალური მასწავლებლების ჩართულობით გამართა საინფორმაციო შეხვედრა აუტიზმთან დაკავშირებით; მომზადდა რადიო გადაცემა, რომელიც სრულიად მიეძღვნა აუტიზმის მსოფლიო დღის აღნიშვნას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2023-20234 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
2. *ინდივიდულაური სასწავლო გეგმა*
3. *სკოლის დირექტორის 2019 წლის 11 დეკემბრის N1/კ-344 ბრძანება „სსიპ გალატიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“*
4. *სკოლის დირექტორის 2022 წლის 30 სექტემბრის N2-485 ბრძანება „სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ა. ქ. სთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფების (ისგ)შექმნის შესახებ“*
5. *ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და აითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს ფართების იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გაცემას. შესაბამისი ორგანოებიდან თანხმობის მიღების შემდეგ, აუდიტის დასკვნის საფუძველზე, ცხადდება ელექტრონული აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ იურიდიულ თუ ფიზიკურ

პირთან ხდება შესაბამისი იჯარის ხელშეკრულების გაფორმება. იჯარის ხელშეკრულების ფარგლებში ხდება სკოლის შესაბამისი ფართის გამოყენება დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევის მიზნით. წრეების სახეობები, რომლებიც ფუქნციონირებს იჯარით გაცემულ ფართში, შეესაბამება სკოლის მიერ განსაზღვრულ ნებადართული საქმიანობების ნუსხას. მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხდება სასკოლო ექსკურსიის განხორციელების დროს, კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციებისა და სამინისტროს მიერ შემუშავებული რეგულაციების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ნებაყოფლობითია. სპარსულის წრის პროგრამა წარმოდგენლია სასკოლო სასწავლო გეგმაში. შესაბამისად შეთანხმებულია პედაგოგიურ საბჭოსთან და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. წრეების სახეობები, რომლებიც ფუქნციონირებს იჯართი გაცემულ ფართი, შეესაბამება სკოლის მიერ განსაზღვრულ ნებადართული საქმიანობების ნუსხას და შესაბამისად შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. გაწერილია და სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებულია სპარსულის წრის პროგრამა. წრეების შემთხვევაში, რომელიც ფუნქციონირებს იჯარის საფუძველზე, პასუხისმგებლობები განისაზღვრება იჯარის ხელშკრულებით. სკოლაში არსებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადი წესების დაცვით. სკოლის ტერიტორიაზე მყოფ პირთა ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება მშობელთან და მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით, რომელშიც გაწერილია სკოლის ვალდებულებები გააკონტროლოს და დაიცვას მოსწავლის უსაფრთხოება სასწავლო პროცესის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილბულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*
2. *იჯარის თაობაზე დოკუმენტაცია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი - დაწყებითი საფეხური

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლაში დაწყებით საფეხურზე კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. შემუშავებულია კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა კურიკულუმში, გაწერილია პასუხისმგებელი პირების საქმიანობა, აღნიშნულია, რომ სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესების, შეხედულებებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, ყოველწლიურად უნდა გადამუშავდეს კურიკულუმი, მთელი წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სკოლას აქვს შესაბამისი პრაქტიკა და მომავალშიც გეგმავს სასკოლო საზოგადოების წევრებთან აქტიურ თანამშრომლობას. შემუშავებული კურიკულუმი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის და არის მოსწავლეზე ორიენტირებული. სწავლების პროცესის დროს სისტემატიურად ხდება მიმდინარე პროცესების განხილვა, ეფექტური და ნაკლებად ეფექტური აქტივობების გამოყოფა, რაც გათვალისწინებულია მომდევნო წლის კურიკულუმის გაწერისას. სასკოლო საზოგადოება მუდმივად ვითარდება და იცვლება, აქედან გამომდინარე, იცვლება მათი შეხედულებები და საჭიროებები. ვინაიდან სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების პრიორიტეტი სასკოლო საზოგადოების აზრის გათვალისწინება და სასწავლო პროცესზე მორგებაა, სკოლისათვის პრიორიტეტული მიმართულებაა კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შეთანხმება/ვერიფიკაცია, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლის პედაგოგები დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. საგნობრივ კურიკულუმებს ქმნიან მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსების, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ (საგაკვეთილო), ასევე არაფორმალურ (კლასგარეშე) აქტივობებს, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა, ინტერესი და პროცესი იყოს მრავალფეროვანი.

კათედრებზე ხორციელდება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. გამოკითხვის მეშვეობით ხდება მოსწავლეთა და მშობლების ინტერესების იდენტიფიცირება, საჭიროებების გამოკვეთა. ღიაობის მიზნით აღნიშნული კურიკულუმი თავსდება სკოლის გვერდზეც. თანამშრომლობითი გარემო პრიორიტეტულია, რაც ქმნის ნაყოფიერ და ეფექტურ სასწავლო პროცესს. დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია ასაკობრივ კატეგორიაზე მორგებული დავალებები. ვიზიტის დროს მასწავლებლებმა წარმოადგინეს მოსწავლეთა მიერ შესრულებული სამუშაოს პროდუქტები თვალსაჩინოების სახით .

კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს.

ინდიკატორი დაკამყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების საფუძველზე და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად, შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ კურიკულუმზე მუშაობის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები , ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის სრულ კორელაციაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კურიკულუმებში არსებული მოცემულობა ნათლად პასუხობს მნიშვნელოვან შეკითხვებს - რას, როგორ, რაზე დაყრდნობით ასწავლიან; რას, როგორ რის საფუძველზე შეისწავლიან მოსწავლეები. კურიკულუმებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. შექმნიან განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს (კათედრის ოქმი); კურიკულუმში წარმოდგენილია საკითხთა სპექტრი, რომელზეც მოსწავლეებმა, მშობლებმა, მასწავლებლებმა, სკოლის დირექციამ შეიძლება იმსჯელოს. შედგენილი საგნობრივი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, სადამრიგებლო პროგრამები ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს, აძლევენ მოსწავლეებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, ქმნიან პოზიტიურ გარემოს, რაც მოსწავლის სასწავლო პროცესში მაღალი ჩართულობის წინაპირობაა. მასწავლებლებთან ინტერვიურების პროცესშიც დასტურდება, რომ კურიკულუმის შედგენისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლის წინარე ცოდნა, გამოცდილება, კომპეტენციები, ასევე - ინტერესები. კომპლექსური ტიპის დავალებები მრავალფეროვანია და მორგებული მათ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე, გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და იყოს რეალიზებული. გათვალისწინებულია ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ერთობლივად მუშაობდნენ კურიკულუმის შექმნაზე, მუშაობის დროს ითვალისწინებენ გასული წლების შედეგებს და გამოცდილებას. კურიკულუმის შემუშავების პროცესი აღწერილია ყველა საგნობრივი კათედრის შეხვედრების სხდომის ოქმებში. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და მზაობა. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია პროცესში ჩართული მხარეების ფუნქციები, აღწერილია ძირითადი პროცესები, რომელიც მოიცავს პროცესის დაწყებას, ასევე პროცესის ეტაპებს: (ა) კურიკულუმის შემუშავება, (ბ) დანერგვა, (გ) მონიტორინგი და შეფასება, (დ) გადასინჯვა და რევიზია; სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულუმის განვითარებაში. სკოლის ავტორიზაციის განაცხადის თვითშეფასების ფორმითაც დასტურდება, რომ მის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი; რომ "სკოლა გეგმავს კურიკულუმის შემუშავების პროცესში უფრო მეტად ჩართოს მოსწავლეები და მშობლები მათი კომპეტენციებისა და ინტერესების შესაბამისად. ამისათვის დაიგეგმა ონლაინ გამოკითხვის ჩატარება სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობით, რათა კურიკულუმის შემუშავებაში უკეთ გაითვალისწინონ მთელი სასკოლო საზოგადოების ინტერესები".

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. დაწყებითი საფეხურის სასკოლო კურიკულუმების განვითარების მიზნით სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას იცნობს სასკოლო თემი და მათ შორის მშობლები. სასწავლო წლის დასაწყისში საგნის პედაგოგები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. ასევე მშობლები სკოლის შესახებ ინფორმაციას იგებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა საგნის პედაგოგებთან, დირექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ ინფორმაცია ზემოთხსენებულ ყველა საკითხზე. სკოლის სოციალურ ჯგუფებში ინფორმირების მიზნით აქტიურად იდება ყველა საჭირო მასალა, მონაცემები ხელმისაწვდომია საგნის მასწავლებლებისა და მშობლებისათვის. სასწავლო წლის დასაწყისსა და შემდგომშიც დამრიგებლები ეტაპობრივად აცნობენ მშობლებს სასკოლო კურიკულუმს და მის მხარდამჭერი მასალებს, საგნობრივი პროგრამებს, სადამრიგებლო საათის პროგრამას, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარს, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებებს და ა.შ. პირად შეხვედრებსა თუ სოციალურ ქსელში არსებულ დახურული ჯგუფების მეშვეობით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*
- *სსიპ გალაკტიონ ტაბიძის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმების ჩარჩოები.*
- *სსიპ გალაკტიონ ტაბიძის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სადამრიგებლო პროგრამა და ანგარიში;*
- *კათედრის სამოქმედო გეგმა;*
- *დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის ოქმები;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024წ*
- *შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა.*
- *მშობლის ბარათები (მასწავლებლის პორტფოლიო დამატებით წარმოდგენილი)*

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **დაწყებითი საფეხურის** 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმებით ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგინეს საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები,
შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების,

სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კათედრების ოქმებიდან იკვეთება რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება განხილვა, დისკუსია, შემდეგ საბოლოო შეჯერება, განიხილავენ შეფასების რუბრიკებს და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებს. გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ასევე ინდივიდუალური საჭიროებები. არსებული მასალების გარდა, საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესძლებლობები, წინარე ცოდნა, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს, მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე, აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა; შექმნილი კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა. მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა,

რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს, მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.

ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **დაწყებით საფეხურზე** სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას გაწერილი აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები.
კოგნიტური და შემეცნებითი უნარების ან საჭიროებების დასადგენად მასწავლებლების ნაწილი ატარებდა ე.წ. სადიაგნოსტიკო კვლევას, რომლის შედეგების ანალიზზეც მასწავლებელი გამოკვეთდა სხვადასხვა კოგნიტური უნარებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომელთა გაკვეთილში სრულფასოვნად და აქტიურად ჩართვის მიზნით ადგენს სხვადასხვა დონის დავალებებს. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპებსა და სტრატეგიებს: მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, პოტენციალსა და საჭიროებებს; აქცენტირებულია მოსწავლის პროგრესი; მოსწავლეს სთავაზობენ მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას, რაც მონაწილეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს; აღწერენ მოსწავლის განვითარების დინამიკას, იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, კონსტრუქციული უკუკავშირისას მოსწავლეებს უსახავენ გზას, თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი; საჭიროების შემთხვევაში მოსწავლისათვის ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ახდენს როგორც პროცესის, ისე შინაარსისა და პროდუქტის დიფერენცირებას; გარემო ადაპტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და აღიქმება მხარდამჭერ სივრცედ. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის პროგრესის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება დაგეგმილ საგაკვეთილო პროცესში ცვლილებები გამოიწვიოს. მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ერთი თემის ფარგლებში განსხვავებული განვითარების დონეზე მორგებულ სხვადასხვა სასწავლო რესურსებს, მათ აძლევენ არჩევანის უფლებას, რომ ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლის საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს. მასწავლებლები იყენებენ მიზნის შესაბამის მრავალფეროვან შეფასების ინსტრუმენტებს, რომლითაც ურჩევენ მოსწავლეს როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების შესაბამისი მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების პროცესის მახასიათებლებიდან გამომდინარე გულისხმობს განმავითარებელ შეფასებას, V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში განმსაზღვრელი შეფასების გამოყენებას. საგნობრივმა კათედრებმა წარმოადგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით.

პედაგოგები გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს, რომელიც შესთავაზა („G-pried"-ის)(USAID დაწყებითი განათლების) პროექტმა. თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინი ქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი;

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მის ყოველ ეტაპზე აფასებენ განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა. დაწყებით საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს ახლად შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. სკოლამ წარმოადგინა ქოუჩინგის შედეგად შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთ შეფასების გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმისა და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია: წარმატებული გამოცდილების გაზიარება; წარმატებული გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხი გამოწვევებზე; საგნობრივი კათედრების 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრული და შემაჯამებელი ანგარიშები; გაკვეთილის გეგმების პრეზენტაცია და განხილვა, ურთიერთდასწრება („კრიტიკული მეგობარი"); მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; თვითშეფასება. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აგროვებს ინფორმაციას კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე

დაყრდნობით და ამთლიანებს მას კათედრის ანგარიშის ფორმაში. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრების და სასკოლო სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას, განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი სასწავლო გეგმები (კურიკულუმები)*
- *საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო.*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილებას. კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს.
დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფs მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემომქმედებით სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დაწყებითი კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას. კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს.
მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, ნათლად აისახა მათ მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, ა. შ.), რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე

კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.
ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებს მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის. ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე, შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება. მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;*
- *საგნობრივი კათედრის წევრებთან გასაუბრება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო პროექტები;*

- *საგანმანათლებლო ღონისძიებები.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები, ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და

შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებელი კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში. ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მასწავლებლები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა), შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და

განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია სასკოლო საწავლო გეგმაში. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. სკოლაში მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ა) ვალიდურობას
ბ) სანდოობას
გ) გამჭვირვალეობას
დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას
შეფასების ვერიფიკაცია ხორცილდება სკოლის დირექციის ინიციატივით ან გეგმიურად საგნობრივი კათედრების მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით, მტკიცებულებათა საკმარისობის და ვალიდურობის შეფასება, შეფასების დროისა და გარემოს შესაბამისობის შეფასება და ა.შ.
სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და შეთანხმება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და ეფექტური უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ საჭიროებებს. ინსტრუმენტის გამოყენებით მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე, ახდენენ ეროვნული სასწავლო გეგემის დანერგვის პროცესისის შეფასებას. სკოლაში უწყვეტად წარმოებს მოსწავლის მიღწევის ანალიზი, შესაბამისად შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერისკენ. მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს უწყვეტად და აისახება მასწავლებელთა და კათედრების მუშაობის ანგარიშებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება

საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *დაწყებითი საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრება.*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და მაწავლებლეთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. ასევე უზრუნველყოფილია

გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრებზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ეს ჩანს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვით, მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. სკოლას დაწყებით საფეხურზე აქვს გამოცდილება მასწავლებლის მიერ პერიოდული გამოკითხვებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელებისა, რაც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დოკუმენტაციებში წარმოდგენილია და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის

განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრების მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. სკოლა აცნობიერებს, რომ თანამშრომლობა და გუნდურობა ამ მრავალფეროვნებას აქცევს მნიშვნელოვან პლატფორმად მოსწავლეზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მისაღებად. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრება;*
- *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული მეთოდოლოგიური ჩარჩო - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ვკითხულობთ: „კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). „

სკოლამ სამივე მიმართულებით წარმოადგინა მტიცებულებები:

პირველი მიმართულება - საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება. სკოლაში მასწავლებლებთან შეთანხმებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ. კათედრებზე მოხდა განხილვა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტების და შეირჩა შეფასების კონკრეტული მეთოდი (სკოლის მიერ შერჩეული კურიკულუმის მონიტორინგის ინსტრუმენტი). მასწავლებლები კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით გეგმავენ შემდეგ ნაბიჯებს.

მეორე მიმართულება სკოლაში არსებული პრაქტიკაა - წინასწარ შეთანხმებული ურთიერთდასწრების კალენდრის მიხედვით დირექტორის მოადგილე ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის მიზანია კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებლების მხარდაჭერა. ამ პროცესში მასწავლებლები იღებდნენ რეკომენდაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ცხრილი, გაკვეთილზე ურთიერთ დასწრების რეფლექსია, გამოცდილების გაზიარება,

მესამე მიმართულება - სკოლისთვის პრიორიტეტია სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის დებულებაში აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაიგეგმოს შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი მოიცავს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვას-გაზიარებას კათედრის წევრებსა თუ პარალელური კლასის მასწავლებლებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორციელებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმები. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკაც. მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტური პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმიდან, გასაუბრებიდან და სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ იგეგმება წინა წლის მიღწევების, შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანონ ცვლილება კურიკულუმში საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში დანერგილია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლება, საგანთა ინტეგრირება.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, ეხმარება სირთულეების დაძლევაში და აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს. კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად, მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტურობაზე. სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად, მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. ხოლო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და პრობლემების გადასაჭრელად ხორციელდება დაკვირვება. სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა

მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა. დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს სირთულის დაძლევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მე - 12 რესურსი*
- *საგნობრივი კათედრის ოქმები*
- *შემაჯამებლების ანალიზები (კათედრების პორტფოლიო)*
- *ინტერვიუ კათედრების წევრებთან.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას

სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სკოლაში სისტემატურად შეგროვდება მონიტორინგის შედეგების მონაცემები, მოხდება მათი ანალიზი და შეფასება, რის შედეგადაც, მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებული იქნება მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და შესაძლებლობები. განმავითარებელი შეფასება ძირითადად ვერბალურია და დაეხმარება მოსწავლეს სირთულეების დაძლევაში. დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლებთან ინტერვიუსს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა, ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი მასალებიდან და ასევე გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენონ მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდები. მონაცემთა შესაგროვებლად იყენებენ ზეპირ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, დამრიგებლის შეფასებას. თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ ”სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომა. ამ მიზნით სკოლა სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონული კითხვარების საშუალებით გეგმავს მშობელთა გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც დავადგენთ მათ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისა და სკოლის მიმართ. შეფასების

ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. ამიტომ სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომა.''

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა დაწყებით საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობებს და სასკოლო მზაობას და ა.შ. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო სამუშაოების ჩატარება და მონიტორინგი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება მულტიფაქტორული მიდგომით. ახდენს მოსწავლის აკადემიური და სხვადასხვა უნარების იდენტიფიცირებას და ანალიზს, შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლის გაზიარებული პორტფოლიოთი. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების რუბრიკები*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
- *კომპლექსურის ბარათები*
- *2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერის თვალსაზრისით. პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ახდენენ ურთიერთდასწრებას, არის შემუშავებული და მასზე მუშაობა მიმდინარე სასწავლო წელს გაგრძელდება. მასწავლებლებმა იციან, როგორ გამოიყენონ მიღებული გამოცდილება 2023-24 წლის შედეგების გაუმჯობესებისა და უკეთ წარმართვისთვის. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას, მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნეს, რომ მთელი წლის განმავლობაში სკოლა შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც ასახული იქნება სკოლის ძლიერი მხარეები, მიღწევები და ყველა ის ნაბიჯი, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიღებული მიგნებების და რეფლექსიის საფუძველზე შექმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

კურიკულიმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება

სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებზე დაყრდნობით შეადგენეს და წარმოადგინეს საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებს ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც აღნიშნეს, კურიკულუმების განხილვა და მის განვითარებაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება კათედრებზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას აქვს მზაობა, რომ კრიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდეს და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემდგომშიც წარმოადგინონ კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *კათედრის სხდომის ოქმები*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საბაზო საფეხური

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხური	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი, თუ როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა კურიკულუმში. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების პრაქტიკა. კერძოდ, სკოლა 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", რა დროიდანაც დაიწყო საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩაერთო სკოლის ყველა მასწავლებელი. ისინი სისტემატურად ესწრებოდნენ შეხვედრებს და ტრენინგებს პროექტის საგნობრივ ექსპერტებთან, ტრენერებთან და ქოუჩებთან და მათ შექმნეს საგნობრივი კურიკულუმები VII-IX კლასებისთვის. ყველა კათედრა საგნობრივ კურიკულუმებს ქმნის მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსების, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით, რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ (საგაკვეთილო), ასევე არაფორმალურ (კლასგარეშე) აქტივობებს, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა, ინტერესი და პროცესი იყოს მრავალფეროვანი. თანამშრომლობითი კულტურა პრიორიტეტულია, რაც ქმნის ნაყოფიერ და ეფექტურ სასწავლო პროცესს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, სასკოლო კურიკულუმების საფუძველზე, მასწავლებლებთან შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად, კარგად გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის შედგენაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საბაზო საფეხურზე მასწავლებლების მიერ კოლეგებთან, კათედრის წევრებთან თანამშრომლობით. გარდა ამისა, კურიკულუმებში ასახულია როგორც სასკოლო თემის, ასევე მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ახალი სასწავლო წლიდან კვლავ იგეგმება კომპლექსური დავალებებითა და

პროექტებით სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და ინტერვენციების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო და მრავალფეროვან რესურსს, კონტექსტ-მაგალითებს, თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამშრომლობითა და ჩართულობით სკოლაში იმართება გამოფენები, კონკურსები, საქველმოქმედო აქციები, ფესტივალი. ასევე მშობლები ხალისით და აქტიურად არიან ჩართულნი კომპლექსური დავალებების განხორციელებაში, რაც ზრდის მასწავლებელს, მოსწავლეებსა და მშობელს შორის თანამშრომლობითი გარემოს ხარისხს. მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები, სადამრიგებლო პროგრამები, ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს. გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და იყოს რეალიზებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია. იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი. მისი შემუშავების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს. ამ პროცესში საგნობრივ კათედრაზე გაერთიანებული მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. განიხილავენ სწავლა-სწავლების პროცესში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს; აგროვებენ სხვადასხვა მონაცემს განხორციელებული კურიკულუმის შესახებ, მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში; კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განსაზღვრავენ წარმატებების წინაპირობებს და ერთობლივად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას იცნობს სასკოლო თემი და მათ შორის მშობლები. სასწავლო წლის დასაწყისში საგნის პედაგოგები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. ასევე მშობლები სკოლის შესახებ ინფორმაციას იგებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა საგნის პედაგოგებთან, დირექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ ინფორმაცია ყველა საკითხზე. სასწავლო წლის დასაწყისსა და შემდგომშიც, დამრიგებლები ეტაპობრივად აცნობენ მშობლებს სადამრიგებლო გეგმას, პირად შეხვედრებსა თუ სოციალურ ქსელში არსებულ დახურული ჯგუფების მეშვეობით.

კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. კათედრებს შექმნილი აქვს ჯგუფები სოციალურ ქსელში, რომელშიც ჩართულია კლასებში შემომსვლელი საგნების პედაგოგებიც. ამ სივრცეში აქტიურად იდება ყველა საჭირო მასალა, ხდება მასწავლებელთა ინფორმირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საბაზო საფეხურის** 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგინეს საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კათედრების ოქმებიდან იკვეთება, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება განხილვა, დისკუსია, შემდეგ საბოლოო შეჯერება, განიხილავენ შეფასების რუბრიკებს და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებს. გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ასევე ინდივიდუალური საჭიროებები. არსებული მასალების გარდა, ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების

იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესძლებლობები, წინარე ცოდნა, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს, მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა; შექმნილი კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები, წინარე ცოდნა, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს, მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.
ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საბაზო საფეხურზე** სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში. ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე; მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას გაწერილი აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. კოგნიტური და შემეცნებითი უნარების ან საჭიროებების დასადგენად მასწავლებლების ნაწილი ატარებდა ე.წ. სადიაგნოსტიკო კვლევას, რომლის შედეგების ანალიზზეც მასწავლებელი გამოკვეთდა სხვადასხვა კოგნიტური უნარებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომელთა გაკვეთილში სრულფასოვნად და აქტიურად ჩართვის მიზნით ადგენს სხვადასხვა დონის დავალებებს. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითადი პრინციპებსა და სტრატეგიებს: მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, პოტენციალსა და საჭიროებებს; აქცენტირებულია მოსწავლის პროგრესი; მოსწავლეს სთავაზობენ მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას, რაც მონაწილეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს; აღწერენ მოსწავლის განვითარების დინამიკას, იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, კონსტრუქციული უკუკავშირისას მოსწავლეებს უსახავენ გზას, თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი; საჭიროების შემთხვევაში მოსწავლისათვის ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ახდენს როგორც პროცესის, ისე შინაარსისა და პროდუქტის დიფერენცირებას; გარემო ადაპტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და აღიქმება მხარდამჭერ სივრცედ. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის პროგრესის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება დაგეგმილ საგაკვეთილო პროცესში ცვლილებები გამოიწვიოს." მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ერთი თემის ფარგლებში განსხვავებული განვითარების დონეზე მორგებულ სხვადასხვა სასწავლო რესურსებს, მათ აძლევენ არჩევანის უფლებას, რომ ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლის საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს. მასწავლებლები იყენებენ მიზნის შესაბამის მრავალფეროვან შეფასების ინსტრუმენტებს, რომლითაც ურჩევენ მოსწავლეს როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების შესაბამისი მიზნები და ამოცანები. საგნობრივმა კათედრებმა წარმოადგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით.

პედაგოგები გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინი ქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი;

კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მის ყოველ ეტაპზე აფასებენ განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა. საბაზო საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს ახლად შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. სკოლამ წარმოადგინა ქოუჩინგის შედეგად შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები.

როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთ შეფასების გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმისა და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია: წარმატებული გამოცდილების გაზიარება; წარმატებული გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხი გამოწვევებზე; საგნობრივი კათედრების 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრული და შემაჯამებელი ანგარიშები. გაკვეთილის გეგმების პრეზენტაცია და განხილვა, ურთიერთდასწრება („კრიტიკული მეგობარი“); მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; თვითშეფასება. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აგროვებს ინფორმაციას კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით და ამთლიანებს მას კათედრის ანგარიშის ფორმაში. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრების და სკოლის სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. გაკვეთილებზე ურთიერთდასწრების შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ინტერვიუს დროს, მასწავლებლებთან პირისპირ

გასაუბრებისას, სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა, მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმი.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი სასწავლო გეგმები (კურიკულუმები)*
- *საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო.*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;კურიკულუმები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას, კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემომქმედებით სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბაზო კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას. კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად გამოჩნდა მათ

მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. საბაზო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე, უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, ა. შ.), რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის - ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთა ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება. მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის კურიკულუმები;*
- *საგნობრივი კათედრის წევრებთან გასაუბრება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო პროექტები;*
- *საგანმანათლებლო ღონისძიებები;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები, ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საბაზო საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითი და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა საბაზო საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურადღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენას და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა საბაზო

საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში. ინტერვიუის თანახმად, მასწავლებლები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა), შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუთ გაირკვა, რომ მოსწავლეები მონაწილებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებზე. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია სასკოლო საწავლო გეგმაში. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. სკოლაში მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ა) ვალიდურობას
ბ) სანდოობას
გ) გამჭვირვალეობას
დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას

შეფასების ვერიფიკაცია ხორცილდება სკოლის დირექციის ინიციატივით ან გეგმიურად საგნობრივი კათედრების მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის

თვალსაზრისით, მტკიცებულებათა საკმარისობის და ვალიდურობის შეფასება, შეფასების დროისა და გარემოს შესაბამისობის შეფასება და ა.შ.

სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და შეთანხმება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და ეფექტური უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ საჭიროებებს. ინსტრუმენტის გამოყენებით მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე, ახდენენ ეროვნული სასწავლო გეგემის დანერგვის პროცესისის შეფასებას. სკოლაში უწყვეტად წარმოებს მოსწავლის მიღწევის ანალიზი, შესაბამისად შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერისკენ. მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს უწყვეტად და აისახება მასწავლებელთა და კათედრების მუშაობის ანგარიშებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საბაზო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრება.*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილია პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები. ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრებზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ეს ჩანს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი მასალების ანალიზის, კურიკულუმების განხილვის, მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი. ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ

სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად. კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. სკოლას საბაზო საფეხურზე აქვს მასწავლებლის მიერ პერიოდული გამოკითხვებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელების გამოცდილება, რაც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენლი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრების მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს. შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე სკოლაში სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო

გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საბაზო საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული მეთოდოლოგიური ჩარჩო - კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ვკითხულობთ: „კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.

კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:

1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის). „

სკოლამ სამივე მიმართულებით წარმოადგინა მტიცებულებები:

პირველი მიმართულება - საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება. სკოლაში მასწავლებლებთან შეთანხმებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ. კათედრებზე მოხდა განხილვა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტების და შეირჩა შეფასების კონკრეტული მეთოდი(სკოლის მიერ შერჩეული კურიკულუმის

მონიტორინგის ინსტრუმენტი). მასწავლებლები კათედრების მიხედვით აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარეებს და ამის მიხედვით გეგმავენ შემდეგ ნაბიჯებს.
მეორე მიმართულებასკოლაში არსებული პრაქტიკაა - წინასწარ შეთანხმებული ურთიერთდასწრების კალენდრის მიხედვით დირექტორის მოადგილე ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის მიზანია კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებლების მხარდაჭერა. ამ პროცესში მასწავლებლები იღებდნენ რეკომენდაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს. მტკიცებულებად წარმოადგინეს გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ცხრილი გაკვეთილზე ურთიერთდასწრების რეფლექსია გამოცდილების გაზიარება,
მესამე მიმართულება - სკოლისთვის პრიორიტეტია სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის დებულებაში აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაიგეგმოს შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი მოიცავს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვას-გაზიარებას კათედრის წევრებსა თუ პარალელური კლასის მასწავლებლებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმები. საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას, აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკაც. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმიდან, გასაუბრებიდან და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ იგეგმება წინა წლის მიღწევების, შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანონ ცვლილება კურიკულუმში საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში დანერგილია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლება, საგანთა ინტეგრირება.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, ეხმარება სირთულეების დაძლევაში და აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს. კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტურობაზე. სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. ხოლო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და პრობლემების გადასაჭრელად ხორციელდება დაკვირვება. სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია - მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა, დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს სირთულის დაძლევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მე - 12 რესურსი*
- *საგნობრივი კათედრის ოქმები*
- *შემაჯამებლების ანალიზები (კათედრების პორტფოლიო)*
- *ინტერვიუ კათედრების წევრებთან.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე. შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა ასევე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სკოლაში სისტემატურად შეგროვდება მონიტორინგის შედეგების მონაცემები, მოხდება მათი ანალიზი და შეფასება, რის შედეგადაც, მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი მასალებიდან და ასევე გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენონ მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი. მონაცემთა შესაგროვებლად იყენებენ ზეპირ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, დამრიგებლის შეფასებას. თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ "სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომა. ამ მიზნით სკოლა სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონული კითხვარების საშუალებით გეგმავს მშობელთა გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც დავადგენთ მათ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისა და სკოლის მიმართ". შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა სახის რუბრიკას, გეგმავენ მათ დახვეწასა და განვითარებას. ასევე გეგმავს დიაგნოსტიკურ შეფასებას კომპლექსური დავალების ანალიზის გამოყენებით. თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ ,,შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. ამიტომ სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.''

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობებს და სასკოლო მზაობას და ა.შ. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო სამუშაოების ჩატარება და მონიტორინგი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება მულტიფაქტორული მიდგომით. ახდენენ მოსწავლის აკადემიური და სხვადასხვა უნარების იდენტიფიცირებას და ანალიზს, შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. აღნიშნული დასტურდება მასწავლებლის გაზიარებული პორტფოლიოთი. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტექნოლოგიები

- *შეფასების რუბრიკები*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
- *კომპლექსურის გარათები*
- *ინტერვიუ*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N 51 საჯარო სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ახდენენ ურთიერთდასწრებას, არის შემუშავებული და მასზე მუშაობა მიმდინარე სასწავლო წელს გაგრძელდება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება მიმდინარე 2023-24 წლის შედეგების გაუმჯობესებისა და უკეთ წარმართვისთვის. კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი,

გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას, მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძილზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში სკოლა შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც ასახული იქნება სკოლის ძლიერი მხარეები, მიღწევები და ყველა ის ნაბიჯი, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიღებული მიგნებების და რეფლექსიის საფუძველზე შექმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

კურიკულიმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებზე დაყრდნობით შეადგენეს და წარმოადგინეს საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებს ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც აღნიშნეს, კურიკულუმების განხილვა და მის განვითარებაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება კათედრებზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას აქვს მზაობა, რომ კრიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდეს და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემდგომშიც წარმოადგინონ კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*

- *კათედრის სხდომის ოქმები*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი - საშუალო საფეხური

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი** საშუალო საფეხური	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ნათლად არის გაწერილი, თუ როგორ მოხდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინება და ასახვა კურიკულუმში. სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების პრაქტიკა. კერძოდ, სკოლა 2020-2021 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში", რა დროიდანაც დაიწყო საგნობრივ კურიკულუმებზე მუშაობა მე-3 თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში ჩაერთო სკოლის ყველა მასწავლებელი. ისინი სისტემატურად ესწრებოდნენ შეხვედრებს და ტრენინგებს პროექტის საგნობრივ ექსპერტებთან, ტრენერებთან და ქოუჩებთან და მათ შექმნეს საგნობრივი კურიკულუმები. ყველა კათედრა საგნობრივ კურიკულუმებს ქმნის მოსწავლეთა საჭიროებების, სკოლის ბაზაზე არსებული რესურსების, სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით. რომელიც მოიცავს როგორც ფორმალურ (საგაკვეთილო), ასევე არაფორმალურ (კლასგარეშე) აქტივობებს, რათა გაიზარდოს მათი ჩართულობა, ინტერესი და პროცესი იყოს მრავალფეროვანი. თანამშრომლობითი კულტურა პრიორიტეტულია, რაც ქმნის ნაყოფიერ და ეფექტურ სასწავლო პროცესს. კათედრებზე საფეხურებისა და პარალელური კლასების მიხედვით გადანაწილებულია პედაგოგები. ერთობლივად ქმნიან სასწავლო წლის ბოლოს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმებს საგნების მიხედვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, სასკოლო კურიკულუმების განხილვის, მასწავლებლებთან შეხვედრისა და გასაუბრების შედეგად, კარგად გამოიკვეთა სასკოლო საზოგადოების ინტერესები. კურიკულუმის შედგენაში ჩართულია კათედრის ყველა წევრი. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია საშუალო საფეხურზე მასწავლებლების მიერ კოლეგებთან თანამშრომლობით. კურიკულუმებში ასახულია როგორც სასკოლო თემის, ასევე მოსწავლეთა ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. ახალი სასწავლო წლიდან კვლავ იგეგმება კომპლექსური დავალებებითა და პროექტებით სწავლა-სწავლების პროცესში

მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მრავალფეროვანი აქტივობებისა და ინტერვენციების განხორციელება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო და მრავალფეროვან რესურსს, კონტექსტ-მაგალითებს, თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლების თანამშრომლობითა და ჩართულობით სკოლაში იმართება გამოფენები, კონკურსები, საქველმოქმედო აქციები, ფესტივალი. ასევე მშობლები ხალისით და აქტიურად არიან ჩართულნი კომპლექსური დავალებების განხორციელებაში, რაც ზრდის მასწავლებელს, მოსწავლეებსა და მშობელს შორის თანამშრომლობითი გარემოს ხარისხს. მასწავლებლების მიერ შედგენილი კურიკულუმი და კომპლექსური დავალებები, სადამრიგებლო პროგრამები, ასახავენ მოსწავლეთა ინტერესებს, რომელიც ცხოვრების რეალურ კონტექსტებთანაა დაკავშირებული და არა მხოლოდ აკადემიური, არამედ ფუნქციური უნარების განვითარებასაც იწვევს. გათვალისწინებულია ინკლუზიური მიდგომები, რომ ყველა მოსწავლის ინტერესი თანაბრად იქნას დაცული და რეალიზებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის თვითშეფასების კითხვარში აღნიშნულია, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა ერთმანეთთან თითოეული კათედრა და სკოლის ადმინისტრაცია, იგივე გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროსაც. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი, მისი შემუშავების პროცესში მასწავლებლები ითვალისწინებენ როგორც მშობლების, ასევე მოსწავლეთა ინტერესებს. ამ პროცესში საშუალო საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ კათედრაზე გაერთიანებული მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. განიხილავენ სწავლა-სწავლების პროცესში აქტუალურ და პრობლემურ საკითხებს; აგროვებენ სხვადასხვა მონაცემს განხორციელებული კურიკულუმის შესახებ, მონაწილეობას იღებენ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში; კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, განსაზღვრავენ წარმატებების წინაპირობებს და ერთობლივად სახავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სასკოლო კურიკულუმების განვითარების მიზნით **საშუალო** საფეხურზე პედაგოგები გეგმავენ მუშაობას, რაც დადასტურებულია ინტერვიუს დროსაც. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული პირისთვის. სასკოლო სასწავლო გეგმას იცნობს სასკოლო თემი და მათ შორის მშობლები. სასწავლო წლის დასაწყისში საგნის პედაგოგები აცნობენ კომპლექსური დავალებების ბარათებს. ასევე მშობლები სკოლის შესახებ ინფორმაციას იგებენ სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. გარდა ამისა, მშობლებს აქვთ შესაძლებლობა საგნის პედაგოგებთან, დირექტორთან ინდივიდუალური შეხვედრების დროს მიიღონ ინფორმაცია ყველა საკითხზე. სასწავლო წლის დასაწყისსა და შემდგომშიც, დამრიგებლები ეტაპობრივად აცნობენ მშობლებს სადამრიგებლო გეგმას, პირად შეხვედრებსა

თუ სოციალურ ქსელში არსებულ დახურული ჯგუფების მეშვეობით. კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. საშუალო საფეხურზე კათედრებს შექმნილი აქვს ჯგუფი სოციალურ ქსელში, სადაც ასევე, გაწევრიანებული არიან კლასებში შემომსვლელი საგნების პედაგოგებიც. ამ სივრცეში აქტიურად იდება ყველა საჭირო მასალა, ხდება მასწავლებელთა ინფორმირება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **საშუალო საფეხურის** 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმებით სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგინეს საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია ორიენტირებულია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განვითარებაზე. საგნობრივი კათედრების ოქმებიდან იკვეთება რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ხდება ურთიერთგანხილვა, დისკუსია, შემდეგ საბოლოო შეჯერება, განიხილავენ შეფასების რუბრიკებს და დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტებს. გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ასევე ინდივიდუალური საჭიროებები. არსებული მასალების გარდა, ინტერვიუს შედეგად საგნობრივ კათედრებთან

გამოიკვეთა, რომ მათ სწორად აქვთ გაგებული კომპლექსური დავალების იდეა და კურიკულუმის აგების პრინციპები. დავალებები ისეა შედგენილი, რომ გათალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, შესძლებლობები, წინარე ცოდნა, მოსწავლეებს აქვთ არჩევანის საშუალება, წარმოადგინონ კონკრეტული პროდუქტი და გამოხატონ საკუთარი დამოკიდებულებები თემის/საკითხის მიმართ. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ სასწავლო მასალა, ფაქტობრივი ინფორმაცია და თემა განიხილება, როგორც ის კონტექსტი, რომელიც ეხმარება მოწავლეს სიღრმისეულად გაიაზროს იდეა, რომელსაც სასწავლო მასალა ატარებს. კომპლექსური ბუნების დავალებები კი ხელს უწყობს, მოსწავლეს თავად შეძლოს საკუთარი სწავლების სწავლა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო საზოგადოება აქტიურად მუშაობს გლობალურ-ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარების მიმართულებით, სასწავლო პროცესი ეფუძნება გრძელვადიან მიზნებს, გლობალურ-ფუნქციურ უნარებს (6 უნარი, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს ფუნქციური უნარ-ჩვევების განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, თანამშრომლობა, კომუნიკაცია, შემოქმედებითობა, ხასიათის ნებელობა, მოქალაქეობა). ინტერვიუს დროს, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმის ჩარჩოში მითითებული კომპლექსური დავალებების შესრულებისას მოსწავლეებს მოუწევთ იაზროვნონ კრიტიკულად, შექმნან პროდუქტი, პრობლემის გადაჭრისას დასჭირდებათ შემოქმედებითობა, გუნდური და ჯგუფური მუშაობა, მეტაკოგნიტური სტრატეგიების ფლობა; შექმნილი კურიკულუმი ითვალისწინებს საგნობრივ მოთხოვნებს და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზანს, სასწავლო კურიკულუმებში გაწერილი სამიზნე ცნებები მოსწავლეებს აძლევს საშუალებას საკუთარ გამოცდილებასთან ინტეგრირებულად გამოიყენოს ახალი ცოდნა და უნარები, კურიკულუმში ჩანს სავალდებულო თემატური ბლოკები, მასთან დაკავშირებული თემები, რომლის ფარგლებშიც მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება. ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ ხორციელდება პროექტები, სხვადასხვა სახის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების გააქტიურებასაც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **საშუალო საფეხურზე** სასწავლო პროცესში, გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც ჩანს. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს, თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში. სწავლის პროცესის დროს ისინი ყურადღებას ამახვილებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნასა და შესაძლებლობებზე, მათ ინტერესებზე. მომავალ სასწავლო წელს მოსწავლეებს დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმების შესაბამის მათზე მორგებულ სასწავლო რესურსებსა და სასწავლო

მასალას შესთავაზებენ, რაც მოსწავლის მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. სკოლას გაწერილი აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების იდენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების , ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და შესრულების რეგულაციები. კოგნიტური და შემეცნებითი უნარების ან საჭიროებების დასადგენად მასწავლებლების ნაწილი ატარებდა ე.წ. სადიაგნოსტიკო კვლევას, რომლის შედეგების ანალიზზეც მასწავლებელი გამოკვეთდა სხვადასხვა კოგნიტური უნარებისა და საჭიროებების მქონე მოსწავლეებს, რომელთა გაკვეთილში სრულფასოვნად და აქტიურად ჩართვის მიზნით ადგენს სხვადასხვა დონის დავალებებს. სკოლა სწავლა-სწავლების პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად პრინციპებსა და სტრატეგიებს: მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს, პოტენციალსა და საჭიროებებს; აქცენტირებულია მოსწავლის პროგრესი; მოსწავლეს სთავაზობენ მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას, რაც მონაწილეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს; აღწერენ მოსწავლის განვითარების დინამიკას, იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, კონსტრუქციული უკუკავშირისას მოსწავლეებს უსახავენ გზას, თუ როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი; საჭიროების შემთხვევაში მოსწავლისათვის ქმნიან ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა განმარტეს, რომ ახდენს როგორც პროცესის, ისე შინაარსისა და პროდუქტის დიფერენცირებას; გარემო ადაპტირებულია მოსწავლის საჭიროებებზე და აღიქმება მხარდამჭერ სივრცედ. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლის პროგრესის გათვალისწინებით, რამაც შეიძლება დაგეგმილ საგაკვეთილო პროცესში ცვლილებები გამოიწვიოს." მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ ერთი თემის ფარგლებში განსხვავებული განვითარების დონეზე მორგებულ სხვადასხვა სასწავლო რესურსებს, მათ აძლევენ არჩევანის უფლებას, რომ ერთსა და იმავე სამიზნე ცნებაზე მუშაობისას მოსწავლის საბოლოო პროდუქტი მრავალფეროვანი იყოს. მასწავლებლები იყენებენ მიზნის შესაბამის მრავალფეროვან შეფასების ინსტრუმენტებს, რომლითაც ურჩევენ მოსწავლეს როგორ გააუმჯობესოს საკუთარი სწავლის პროცესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების შესაბამისი მიზნები და ამოცანები. კათედრებმა წარმოადგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით. პედაგოგები გაკვეთილებზე აქტიურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებს. თავად მოსწავლე აქტიურად არის ჩართული შეფასების პროცესში. მაგ. გაკვეთილზე მოსწავლეები ავსებენ შესასვლელ/გასასვლელ ბარათებს, მინი ქვიზებს, აფასებენ საკუთარ და ერთმანეთის ცოდნას და ამით მასწავლებლები აგროვებენ ინფორმაციას, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი. კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში, მის ყოველ ეტაპზე აფასებენ განმავითარებელი კომენტარით, უმეტესად ზეპირად - სოლო ტაქსონომიის გათვალისწინებით, სქემის მიხედვით: დაზუსტება, წახალისება, რჩევა. საშუალოთ საფეხურზე პედაგოგებმა წარმოადგინეს ახლად შექმნილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება გრძელვადიან მიზნებზე. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შექმნილია სტანდარტის შედეგების გათვალისწინებით. შეფასება ორიენტირებულია გრძელვადიან

მიზნებზე. აქტიურად გამოიყენება თვითშეფასების რუბრიკები, შესასვლელი და გასასვლელი ბარათები. სკოლამ წარმოადგინა ქოუჩინგის შედეგად შექმნილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. როგორც გასაუბრებიდან გამოიკვეთა, 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილი თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას. კომპლექსური დავალებების მიმდინარეობისას და დასკვნით ეტაპებზე მოსწავლის განმავითარებელი შეფასება ხდება როგორც მასწავლებლის მხრიდან, ასევე მოსწავლეთა თვით და ურთიერთ შეფასების გზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმისა და გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია: წარმატებული გამოცდილების გაზიარება; წარმატებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით პასუხი გამოწვევებზე; საგნობრივი კათედრების 2022-2023 სასწავლო წლის სემესტრული და შემაჯამებელი ანგარიშები. გაკვეთილის გეგმების პრეზენტაცია და განხილვა, ურთიერთდასწრება („კრიტიკული მეგობარი"); მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა; თვითშეფასება. სასწავლო წლის ბოლოს სკოლა აგროვებს ინფორმაციას კათედრის წევრების ინდივიდუალურ ანგარიშებზე დაყრდნობით და ამთლიანებს მას კათედრის ანგარიშის ფორმაში. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებების ანალიზი, ჩატარებული გაკვეთილების ნუსხა, კოლეგების ურთიერთდასწრება, ხარისხის მართვის ჯგუფის ფარგლებში არსებული სავალდებულო გაკვეთილები, განხორციელებული სასწავლო პროექტები. ასევე პროფესიული განვითარების კუთხით განხორციელებული აქტივობები, გავლილი ტრენინგები/ვებინარები, კონფერენციაზე დასწრება/მონაწილეობა და სხვა. მასწავლებელთა ანგარიშების საფუძველზე ხდება არსებული მდგომარეობის შეფასება, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც მუშავდება მომავალი წლის კათედრების და სასკოლო სამოქმედო გეგმა და პრიორიტეტები. ურთიერთდასწრების გაკვეთილებზე მიღებული უკუკავშირის საფუძველზე თითოეული მასწავლებელი ინდივიდუალურად ადგენს გამოვლენილი სუსტი მხარეების გაუმჯობესების გზებს. ითვალისწინებს რა წინარე გამოცდილებას, ადგენს მომდევნო წლის სამუშაო გეგმას. არჩევს მისი საჭიროებების შესაბამის პროფესიული განვითარების აქტივობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებთან პირისპირ გასაუბრებისას სწორედ ამ მიმართულებით დასმულ დამაზუსტებელი ტიპის შეკითხვაზე თუ რა გამოცდილება მისცა კათედრას წინა წლებში განხორციელებულმა კომპლექსურმა დავალებებმა -მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ დროის მენეჯმენტი და მშობელთა წინასწარი ინფორმირება კომპლექსურ დავალებებზე გახდა სამომავლო კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში განსაკუთრებით გასათვალისწინებელი კომპონენტები. სასკოლო კურიკულუმის და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება ექცევა სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი შესაძლებელია სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით დგება გადამუშავებული/რევიზირებული კურიკულუმი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები:

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმი.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა*
- *საგნობრივი სასწავლო გეგმები (კურიკულუმები)*
- *საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო.*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*
- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2..2.1 სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას; კურიკულუმები, მოსწავლის შემოქმედებით პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფისთვის, ითვალისწინებს კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებას. კურიკულუმებში შეტანილია კომპლექსური დავალების პირობები, რომელებიც მოსწავლეებს სხვადასხვა ტიპის პროდუქტის შექმნას ავალდებულებს, როგორიცაა, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლის შემოქმედებით უნარებს ავითარებს. საშუალო საფეხურის კურიკულუმები და მასში გაწერილი როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული შინაარსის თემები და სხვადასხვა ღონისძიებები, უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით სასწავლო პროცესში ჩართვას. კურიკულუმის სასწავლო თემებისა და კომპლექსური დავალების პირობების გაანალიზების საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა შეძლებს მოსწავლეთა აქტიურად ჩართვას შემომქმედებით სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. საშუალო კლასების კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რაც სამიზნე ცნების დამკვიდრების პროცესში, თავისთავად გულისხმობს წინარე ცოდნაზე დაყრდნობას. კომპლექსური დავალებები აგებულია მოსწავლისთვის უკვე ნაცნობ სასწავლო თემებსა და კონტექსტებზე, რომლებიც, მოსწავლეს, წინარე ცოდნის საფუძველზე, ახლის აგებაში დაეხმარება. კურიკულუმში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი თავისებურებები, შინაგანი მზაობა და ინტერესები, რომელიც მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ახალი ცოდნა მანამდე არსებულ, საკუთარ გამოცდილებას დაუკავშიროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს ნათლად აისახა მათ მიერ წინარე ცოდნის გააქტიურების პრაქტიკის ყოველდღიურ საქმიანობაში გამოყენება და გააზრება. მათი გამოცდილება ცხადყოფს, რომ აქვთ უნარი, ფასილიტაცია გაუწიონ მოსწავლეს ცოდნის აგების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმებში შეთავაზებულია ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებმაც მოსწავლეები უნდა დააფიქროს სწავლის პროცესზე და წაახალისოს მეტაკოგნიცია. ეს უზრუნველყოფს, რომ სწავლის პროცესში აქცენტი გაკეთდეს სწავლის სწავლაზე. კომპლექსური დავალებების მრავალფეროვანი არჩევანი საშუალებას იძლევა, დავალების შესრულების სხვადასხვა ეტაპებზე, მოსწავლეებმა განსხვავებული მეთოდი და სტრატეგია გამოიყენონ და თვითონ დაგეგმონ სასწავლო პროცესი. აქცენტები კეთდება ისეთი რესურსების გამოყენებაზე, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში განსხავებული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. საშუალო საფეხურის კურიკულუმში სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კომპლექსური ტიპის დავალებებზე, რომელიც თავისი არსიდან გამომდინარე,

უზრუნველყოფს სწავლის სწავლას. კომპლექსური დავალების მოსამზადებელი აქტივობები და მისი წარდგენის ეტაპი გულისხმობს იმის გაანალიზებას მოსწავლის მხრიდან, თუ რა სტრატეგიები გამოიყენა დავალების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მოსწავლეები პასუხობენ საკვანძო შეკითხვებს, რომელიც ხელს უწყობს მათ გააკეთონ რეფლექსია დავალებაზე მუშაობის პროცესში, შესაბამისად აქცენტი კეთდება მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დავალებები სრულდება ისეთი მეტაკოგნიტური სტრატეგიების გამოყენებით (მონაცემთა შეგროვება და ორგანიზება სქემებში, ტექსტის პაუზებად კითხვის, კითხვა ნიშანთა სისტემით, მნიშვნელოვანი სიტყვები, ჯოგსოუ, სასწავლო გაჩერებები, პროექტული სწავლება, კვლევის განხორციელება, ა. შ.), რომელიც მორგებულია, მოსწავლეთა ინტერესებზე და მათში იწვევს სწავლის მოტივაციას. აქტიურად გამოიყენება ჯგუფური და თანამშრომლობითი სწავლების სტრატეგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. კომპლექსური ტიპის დავალებები არის მოაზრებული, როგორც გზა და საშუალება სამივე კატეგორიის ცოდნის განვითარებისთვის. კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური ტიპის დავალებების განხორციელებას, რაც თავისთავად გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიას. ასევე, კურიკულუმში საკითხები მკაფიოდაა განსაზღვრული, რაც მნიშვნელოვანია ერთი მხრივ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებისთვის, მეორე მხრივ კი სწავლა-სწავლების ისეთ პრინციპების გასააქტიურებლად, როგორებიცაა - ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული, პირობისეული) მუშაობა და ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მასწავლებლები იცნობენ და იყენებენ პრობლემაზე დაფუძნებული დავალებს, მოსწავლეთა ცოდნის სამივე კატეგორიის გააქტიურებისათვის, ისინი არა მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეცნობიან და ამუშავებენ, არამედ სხვადასხვა ამოცანის გადასაჭრელად, მიღებული ცოდნის ინსტრუმენტად გამოყენება უწევთ. სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესი ცოდნის სამივე კატეგორიაზე იყოს ორიენტირებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. კურიკულუმების, სკოლის თვითშეფასების, მასწავლებელთნა ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში. კურიკულუმში თითოეულ სამიზნე ცნებას უკავშირდება მთელი რიგი ქვეცნებები, რომლებიც წარმოაჩენენ საგნობრივი ცოდნის სტრუქტურას. სამიზნე ცნებაზე მუშაობის პროცესში მოხდება ამ ქვეცნებების ერთმანეთთან შედარება, დაპირისპირება და სხვადასხვა ნიშნით კლასიფიცირება, რაც მათ ურთიერთდაკავშირებულ გამოყენებას განაპირობებს. სამიზნე ცნებების დამკვიდრების პროცესი აგებულია შესწავლილი საკითხების გაღრმავებაზე კლასების მიხედვით, და იმგვარად არის მიწოდებული, რომ შესაძლებელია ცოდნის ორგანიზება. მოსწავლის ცოდნათა დაკავშირებისა და ორგანიზების თვალსაზრისით, კურიკულუმებში, სასწავლო საკითხებს გააჩნიათ ურთიერთმიმართებები. თემები ისე არის დაგეგმილი, რომ გააჩნიათ ცოდნის გამთლიანებისთვის საჭირო ლოგიკური კავშირები. სასწავლო კურიკულუმის გარდა, მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზებისთვის მოაზრებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ითვალისწინებს

გარკვეული პროდუქტის შექმნას, მაგალითად, დიორამა, პოსტერი, პრეზენტაცია და სხვა. ასეთი ტიპის კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის კურიკულუმები;*
- *საგნობრივი კათედრის წევრებთან გასაუბრება;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *სასკოლო პროექტები;*
- *საგანმანათლებლო ღონისძიებები;*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო საკითხების შერჩევა და დამუშავება ხორციელდება გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრულია სამიზნე ცნებების სახით. სამიზნე ცნებები და ქვეცნებები სათანადოდ არის წარმოდგენილი. საგნობრივი საკითხები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით, გათვალისწინებულ სავალდებულო თემებს. სამიზნე ცნებებს, ქვეცნებებსა და სასწავლო თემებს შორის კავშირი სწორად არის დანახული. მასწავლებლებს აქვთ უნარი იხელმძღვანელონ საგნობრივი სტანდარტით და სასწავლო პროცესი წარმართონ ისე, რომ საგნობრივი საკითხების დამუშავებასთან ერთად, მოსწავლის მიერ მიღებული ცოდნის განზოგადება და გრძელვადიანი მიზნებისკენ ორიენტირება უზრუნველყონ, რაც დადასტურდა მათთან გასაუბრების დროს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულმებში წარმოდგენილია სასწავლო თემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლისთვის ნაცნობ კონტექსტებსა და გარემოს და კურიკულუმებში შემოთავაზებულია დავალებები, რომელთა შესრულებისათვის მოსწავლეებს სხვადასხვა გამოწვევებთან გამკლავება მოუწევთ, რაც მათ პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას განაპირობებს. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. დაგეგმილი პროექტები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მრავალფეროვანი აქტივობები და რესურსები (როგორც ვირტუალური ლაბორატორიები, ასევე სკოლაში არსებული რესურსები) ხელს უწყობს ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კათედრების წევრებთან ინტერვიუს დროს, ასევე გამოიკვეთა, რომ კომპლექსურ დავალებაზე, პროექტებზე მუშაობის და საბოლოო პროდუქტის შექმნისას, მოსწავლეს უვითარდება კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა და თანამშრომლობითი უნარები, ასევე მოსწავლე ახდენს თვითაქტუალიზაციას და აზროვნების პროცესების მართვით - თვითრეგულაციას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი და შეფასების სისტემა საშუალო საფეხურზე ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, გამახვილებულია ყურაღება მოსწავლეზე და მის შედეგზე, მოსწავლის თვითრეალიზებაზე, თვითრეგულაციაზე, მის შესაძლებლობების გამოვლენასა და ინტერესების დაკმაყოფილებაზე, მოსწავლის სხვადასხვა უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, რომლებიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან. სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, შეფასების ზოგადი რუბრიკები - საკლასო, საშინაო და შემაჯამებლ კომპონენტების შესაფასებლად. შემუშავებული შეფასების რუბრიკებით, მაგალითად, ფასდება როგორია მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რამდენად აქვს მას მოსმენის კულტურა, იცავს თუ არა ეთიკურ ნორმებს, როგორია მისი საქმიანობა სოციალურ გარემოში (ჯგუფებში მუშაობის დროს). წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, ჰოლისტური შეფასების გარკვეული ელემენტები გაბნეულია შეფასების სხვადასხვა რუბრიკაში. ინტერვიუების მიხედვით, კათედრის

წევრები იდეის გაგება-გაზიარების დონეზე ხსნიან და მხარს უჭერენ შეფასების სისტემის ორიენტირებას მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის მიერ წარმოდეგნილი მასალების საფუძველზე, როგორიცაა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, პროექტები, კათედრის ოქმი, შემაჯამებლის ანალიზის ფორმა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებული შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე, თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში. მასწავლებლებთან ინტერვიუებით ირკვევა, რომ მოსწავლეები მონაწილეებენ რუბრიკების შექმნაში, იცნობენ ამ რუბრიკებს, რომლებიც გამოკრულია კლასში, შეფასების რუბრიკები ცნობილია მშობლებისთვისაც. მასწავლებლები იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. მათ ასევე მიუთითეს, რომ სკოლა თავის შეფასების სისტემას აფუძნებს ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილ შეფასების პრინციპებს. შეფასების ვალიდურობის, გამჭვირვალეობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფისთვის საჭირო ღონისძიებები გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმასა და შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტში. შეფასების ზემოთ აღნიშნული პრინციპების დაცვას, ასევე უზრუნველყოფს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებშიც კრიტერიუმები შინაარსობრივად დაკავშირებულია სამიზნე ცნებებსა და სტანდარტის შედეგებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი წარმოდგენილია სასკოლო საწავლო გეგმაში. შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია. სკოლაში მოსწავლის შეფასება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:
ა) ვალიდურობას
ბ) სანდოობას
გ) გამჭვირვალეობას
დ) სამართლიანობასა და ობიექტურობას
შეფასების ვერიფიკაცია ხორციელდება სკოლის დირექციის ინიციატივით ან გეგმიურად საგნობრივი კათედრების მიერ ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზის დროს, ასევე ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დროს სკოლაში ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტის შინაარსობრივი შეფასება ვალიდურობის თვალსაზრისით, მტკიცებულებათა საკმარისობის და ვალიდურობის შეფასება, შეფასების დროისა და გარემოს შესაბამისობის შეფასება და ა.შ.
სკოლას არჩეული აქვს მოსწავლეთა შეფასების პირველი მოდელი. სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით, შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და შეთანხმება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია. დაკვირვების შედეგად ხდება საგნობრივ

სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და ეფექტური უკუკავშირის გაცემა. საგნობრივი კათედრები პედაგოგები ითვალისწინებენ მოსწავლის საჭიროებებს, გამოკვეთენ საჭიროებებს. ინსტრუმენტის გამოყენებით მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირების საფუძველზე, ახდენენ ეროვნული სასწავლო გეგემის დანერგვის პროცესისის შეფასებას. სკოლაში უწყვეტად წარმოებს მოსწავლის მიღწევის ანალიზი, შესაბამისად შეფასების სისტემა მიმართულია მოსწავლის მხარდაჭერისკენ. მოსწავლის ნამუშევრებისა და შეფასების განხილვა და ანალიზი მიმდინარეობს უწყვეტად და აისახება მასწავლებელთა და კათედრების მუშაობის ანგარიშებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის, მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას, არსებული ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, ასევე მოსწავლის პირად საქმეში. ინფორმაცია დაცულია და ინფორმაციის გაცემა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში ინახება მოსწავლეთა სემესტრული, წლიური და საფეხურის ნიშნები როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. ინფორმაციის ასახვა ხდება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სამომავლოდაც დოკუმენტაციის შენახვას და დამუშავებას გააგრძელებენ კანონით დადგენილი წესის შესაბამისად. სკოლა საუბრობს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვისა და შენახვის კანონმდებლობით დადგენილი წესების შესახებ. შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების, ინფორმაციის და მტკიცებულებების სახით სკოლაში ინახება საკლასო ჟურნალები მატერიალური სახით. 2021-2022 სასწავლო წლიდან კი ელექტრონული ჟურნალების სახით. სკოლაში ასევე ინახება მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;*
- *საშუალო საფეხურის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;*
- *საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრება.*
- *სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.*

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფილოსოფიაში გაზიარებულია სასწავლო პროცესში მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულება. სასკოლო ინფრასტრუქტურასთან ერთად, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დოკუმენტების (სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა, სასკოლო სასწავლო გეგმა, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, შეფასების სისტემის ვერიფიკაციის წესი) საფუძველზე, სკოლა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესში მოსწავლის მხარდამჭერი გარემოს შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა და კათედრის წევრებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლაში შექმნილი პოზიტიური სასწავლო გარემო; მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ერთობლივად დაგეგმილი აქტივობები, რომელშიც მოსწავლე არის სუბიექტი და არა ობიექტი. გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებანი; ასევე უზრუნველყოფილია გლობალური ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გამომუშავების ხელშეწყობა, რაც კათედრებზე კომპლექსური დავალებების სწავლებითაა შესაძლებელი. ეს ჩანს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშში, რის მტკიცებულებად პედაგოგიური საბჭოსა და კათედრის ოქმებია წარმოდგენილი. გარდა ამისა, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი მასალების ანალიზიდან, კურიკულუმების განხილვისას, კათედრის წევრებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის ინდივიდუალური, ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლები, შესაძლებლობები, უნარები, ინტერესები, საჭიროებები და სწავლის სტილი და ამავე დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტერაქციას, მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა აქტივობებში, ოლიმპიადებში, კონფერენციებში, პროექტებში და ა შ. სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული და მასწავლებელთან ერთად არის პასუხისმგებელი საკუთარ სწავლასა და განვითარებაზე. ეს ყველაფერი ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს მოსწავლეზე ორიენტირებულად; კურიკულუმები მოიცავს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ გრძელვადიან მიზნებს (სამიზნე ცნებებს), მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებებისა და ინტერესებისთვის შესაბამის სასწავლო თემებსა და მრავალფეროვან კომპლექსურ

დავალებებს. ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ კონსტრუქტივისტული სწავლების პრინციპებს (წინარე ცოდნაზე დაფუძნება, დიფერენცირებული მიდგომა, მეტაკოგნიტური უნარების განვითარება და სხვა), რომელიც მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, კომპლექსური დავალებების დანერგვით, უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მოსწავლეები არა მხოლოდ აქტიურად მონაწილეობენ განათლების მიღების პროცესში, არამედ საშუალება აქვთ, ერთმანეთს დაეხმარონ და მონაწილეობა მიიღონ თანატოლების სწავლა-სწავლების პროცესშიც. სკოლას საშუალო საფეხურზე აქვს გამოცდილება მასწავლებლის მიერ პერიოდული გამოკითხვებისა და დიაგნოსტიკური შეფასებების განხორციელებისა, რაც სასწავლო პროცესის მოსწავლეზე ორიენტირებას უზრუნველყოფს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და კათედრის წევრებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა. სასკოლო საზოგადოებას აერთიანებს საერთო ღირებულებები და ინტერესები. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამშრომლობითი პრინციპების დაცვით, რაც ხელს უწყობს სამართლიანი და თანასწორუფლებიანი სამუშაო გარემოს შექმნას და პროცესში ჩართული ან დაინტერესებული პირების უფლებებისა და ინტერესების დაცვას; კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ სასკოლო კურიკულუმებს, რაც გულისხმობს როგორც კურიკულუმების ჩარჩოს შემუშავების, ისე კურიკულუმის განხორციელების პროცესში მასწავლებლების მიერ სამუშაო შეხვედრათა დაორგანიზებას. აღნიშნული კი დასტურდება კათედრების მუშაობის ოქმებში. კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს პროფესიულ გამოცდილებას. სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს და აძლევენ უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები, პოზიტიური კლიმატის უზრუნველყოფის მიმართულებით. დოკუმენტაციის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლაში დამკვიდრებული თანამშრომლობითი კულტურა, რწმენების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების გაზიარებული სისტემა, ქმნის ურთიერთობის ისეთ ფორმას, რომელიც მისაღები და გაზიარებულია მათვის და აყალიბებს ისეთ ნორმებს და წესებს, რომლებიც უზრუნველყოფს პოზიტიურ კლიმატის შექმნას, როგორც სკოლის ასევე კლასის დონეზე. სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლა წარმოადგენს კეთილგანწყობილ დაწესებულებას, სასკოლო საზოგადოებისათვის. შექმნილია უსაფრთხო, მზრუნველი და მოწესრიგებული სასწავლო გარემო. როგორც ინტერვიუს დროს აღინიშნა, სკოლაში მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, დირექციასთან და მშობლებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. სკოლაში ვიზიტის დროს, სამუშაო სივრცის გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა - სკოლას გააზრებული აქვს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის დამოკიდებულება საკლასო ატმოსფეროს ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. ყურადღებიანი, ემპათიური და მეგობრული მასწავლებელი

დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. მასწავლებელი მოსწავლეს უდგება როგორც ინდივიდს თავისი საჭიროებით, სურვილებითა და ინტერესებით. მოსწავლეს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას საკუთარი აზრი და დასვას მისთვის საინტერესო კითხვები. სასწავლო პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან. პედაგოგები ასევე საუბრობენ პოზიტიურ საკლასო გარემოს მნიშვნელობაზე. სკოლა ცდილობს შემქნას პოზიტიური ფიზიკური გარემო, მოსწავლეებს შესთავაზოს მრავალფეროვანი რესურსები და დაამკვიდროს ურთიერთობის წესები ჯანსაღი ატმოსფეროს შესაქმნელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალოთ საფეხურზე უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;*
- *საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრება;*
- *სკოლასა და მშობელს შორის დადებული ხელშეკრულება;*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლამ წარმოადგინა დამტკიცებული მეთოდოლოგიური ჩარჩო - კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ვკითხულობთ: „კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია იმის აღწერა, თუ:

- რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი);
- რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება)?

სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან.
კვლევა და შეფასება წარიმართება სამი მიმართულებით:
1. მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად;

2. სკოლის ბაზაზე მასწავლებლის პროფესიული განვითარება (პედაგოგიკურ პრაქტიკასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის და გამოვლენილი პრობელების გადაჭრისთვის);

3. სკოლის ინსტიტუციური განვითარება (სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში თანამშრომლობითი პროცესების გაძლიერებისთვის).
სკოლამ სამივე მიმართულებით წარმოადგინა მტიცებულებები:
პირველი მიმართულება - საგნობრივი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება. სკოლაში მასწავლებლებთან შეთანხმებით დადგინდა, რომ 2023-2024 სასწავლო წელს დიაგნოსტიკური შეფასება განხორციელდება წელიწადში ორჯერ. კათედრებზე მოხდა განხილვა სამინისტროს მიერ შემოთავაზებული დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტების და შეირჩა შეფასების კონკრეტული მეთოდი(სკოლის მიერ შერჩეული კურიკულუმის მონიტორინგის ინსტრუმენტი მასწავლებლები კათედრების მიხედვით, აანალიზებენ სასწავლო პროცესს, შემაჯამებელ დავალებებს, წარმოაჩენენ სუსტ და ძლიერ მხარებს და ამის მიხედვით გეგმავენ შემდეგ ნაბიჯებს.

მეორე მიმართულება სკოლაში არსებული პრაქტიკაა - წინასწარ შეთანხმებული ურთიერთდასწრების კალენდრის მიხედვით დირექტორის მოადგილე ახორციელებს გაკვეთილებზე დასწრებას, რომლის მიზანია კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში მასწავლებლების მხარდაჭერა. ამ პროცესში მასწავლებლები იღებდნენ რეკომენდაციებს, განმავითარებელ უკუკავშირს. მტკიცებულებად წარმოადგინეს გაკვეთილზე ურთიერთდასწრების ცხრილი გაკვეთილზე ურთიერთ დასწრების რეფლექსია გამოცდილების გაზიარება,

მესამე მიმართულება - სკოლისთვის პრიორიტეტია სკოლის ინსტიტუციური განვითარება. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფის დებულებაში აღნიშნულია, რომ მასწავლებელთა საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია დაიგეგმოს შემდეგი აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი მოიცავს კურიკულუმის დანერგვის პროცესებზე დაკვირვებას, გამოწვევების/პრობლემების აღნუსხვა-გაზიარებას კათედრის წევრებსა თუ პარალელური კლასის მასწავლებლებს შორის და ერთობლივად ინტერვენციების მოფიქრებას, სამომავლოდ სკოლა გეგმავს მონიტორინგის ეფექტური მექანიზმის შექმნას, კურიკულუმებისა და განხორცილებულ აქტივობების ანალიზის ფორმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს დახვეწონ, სრულყონ და განავითარონ კურიკულუმით განსაზღვრული მონიტორინგის მექანიზმები. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკები მეტყველებს, რომ შეფასება ემსახურება მოსწავლეთა მხარდაჭერას და დახმარებას. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ კლასის დამრიგებლებთან. მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ფარგლებში სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი აკვირდება მასწავლებლის საქმიანობას აფასებს და აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა რომ კოლეგები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, აქვთ ურთიერთდასწრების პრაქტიკაც. ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმიდან, გასაუბრებიდან და სხვა წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან გამოიკვეთა, რომ იგეგმება წინა წლის მიღწევების, შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანონ ცვლილება კურიკულუმში საჭიროების შემთხვევაში. სკოლაში

დანერგილია ე.წ. „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა, კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით: პოზიტიური სასწავლო გარემო, განმავითარებელი კომენტარებისა და უკუკავშირების ეფექტიანად გამოყენება, დიფერენცირებული და ინკლუზიური სწავლება, საგანთა ინტეგრირება.

სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე ყველა სტატუსის მქონე მასწავლებელს ესწრება კანონმდებლობით განსაზღვრული წესით და ადგენს მათ საჭიროებას, ეხმარება სირთულეების დაძლევაში და აანალიზებს კურიკულუმის ძლიერ და გასავითარებელ მხარეებს. კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობის შედეგად მასწავლებლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას და მსჯელობენ კურიკულუმის ეფექტურობაზე. სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება ხდება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგებთან მიმართებით. ხოლო მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული საჭიროებებისა და პრობლემების გადასაჭრელად ხორციელდება დაკვირვება. სკოლაში სასწავლო პროცესზე დაკვირვების სხვადასხვა მიმართულების მიზანი ერთია, მოახდინოს შეფასება და განსაზღვროს პრობლემის გადაჭრის გზა. დაეხმაროს მასწავლებელსა და მოსწავლეს სირთულის დაძლევაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მე 12 რესურსი*
- *საგნობრივი კათედრის ოქმები*
- *შემაჯამებლების ანალიზები (კათედრების პორტფოლიო)*
- *ინტერვიუ კათედრების წევრებთან.*

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოსწავლეთა შეფასება ხდება, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებით. პედაგოგებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ შეფასების პროცესში ისინი ეყრდნობიან მრავალფეროვან წყაროებს: გამოკითხვა, ანკეტირება, სხვადასხვა ტიპის შეფასების კითხვარი, სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, კომპლექსური დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვებას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, პროექტების განხორციელების პროცესზე დაკვირვებას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასება, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლესა და პედაგოგის ინფორმირებას სწავლის პროცესში განხორციელებული პროგრესის შესახებ, რაც თავის მხრივ უადვილებს როგორც დაინახოს მასწავლებელს მოსწავლის პროგრესი, ასევე მოსწავლეს დაფიქრდეს თავის სწავლის-სწავლაზე.

შეფასების სისტემა (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება) მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. შეფასებისას სკოლა აგრეთვე ეყრდნობა კომპლექსური და შემაჯამებელი სამუშაოების შედეგებს, მოსწავლეთა მიღწევებს, დაკვირვებას სასწავლო პროცესზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებში საუბარია სამომავლო ხედვაზე, რომლის თანახმად, სკოლაში სისტემატურად შეგროვდება მონიტორინგის შედეგების მონაცემები, მოხდება მათი ანალიზი და შეფასება, რის შედეგადაც, მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **საშუალო** საფეხურზე მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია სასწავლო თემების, საკითხების, შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებით. ისაუბრეს, რომ საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს შეფასების სისტემის გაუმჯობესების გზებზე. ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი, ამიტომაც იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასება, რათა სრულყონ შეფასების საკუთარი სისტემა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლისთვის მნიშვნელოვანია მოსწავლეთა შეფასებისას გამოიყენონ მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდები. მონაცემთა შესაგროვებლად იყენებენ ზეპირ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოებასთან, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველ სტატისტიკურ მონაცემებს, დამრიგებლის შეფასებას. თვითშეფასებიდან ირკვევა, რომ "სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომა. ამ მიზნით სკოლა სასწავლო წლის ბოლოს ელექტრონული კითხვარების საშუალებით გეგმავს მშობელთა გამოკითხვას, რომლის საშუალებითაც დავადგენთ მათ დამოკიდებულებას სასწავლო პროცესისა და სკოლის მიმართ. შეფასების ვალიდურობა დამოკიდებულია ბევრ მნიშვნელოვან ფაქტორზე, მათ შორის მონაცემთა მოპოვების მეთოდებზე. ამიტომ სკოლა გამოიყენებს ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივ და თვისებრივ მეთოდებს, რათა უზრუნველყოს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.''

ინდიკატორი დაკმაყოფილებული

4. საშუალო საფეხურზე **მ**ოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობებს და სასკოლო მზაობას და ა.შ. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო სამუშაოების ჩატარება და მონიტორინგი. მასწავლებლებმა ინტერვიუს პროცესში ხაზი გაუსვეს, რომ მოსწავლის შეფასება ხორციელდება მულტიფაქტორული მიდგომით. ახდენს მოსწავლის აკადემიური და სხვადასხვა უნარების იდენტიფიცირებას და ანალიზს, შეფასებისას გათვალისწინებული და გამოყენებულია კონსტრუქტივიზმის პრინციპები. დაგეგმილია სადიაგნოსტიკო შეფასების დანერგვა, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების სისტემა, რომელიც გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ტექნოლოგიები

- *შეფასების რუბრიკები*
- *განმავითარებელი შეფასების რუბრიკა*

- *განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა*
- *კომპლექსურის გარათები*
- *ინტერვიუ კათედრებთან*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის N51 საჯარო სკოლას აქვს გამოცდილება კურიკულუმის განვითარებასა და მხარდაჭერასთან დაკავშირებით, პედაგოგები უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ახდენენ ურთიერთდასწრებას, არის შემუშავებული

და მასზე მუშაობა მიმდინარე სასწავლო წელს გაგრძელდება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება როგორ გამოიყენონ დაგროვილი გამოცდილება მიმდინარე 2023-24 წლის შედეგების გაუმჯობესებისა და უკეთ წარმართვისთვის კურიკულუმის განვითარება, როგორც ციკლური ბუნების მქონე პროცესი, გულისხმობს პროცესების მუდმივ შესწავლას და რეფლექსიას, მათზე დაყრდნობით, მიღწეულია დასახული. მნიშვნელოვანია, რომ დაგეგმვის პროცესში აღმოჩენილი მიგნებები და რეფლექსიები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ, კათედრის წევრები შეხვედრებზე ცდილობენ გასცენ ისეთ კითხვებს პასუხები როგორებიცაა: რა გამოცდილება დამიგროვდა სასწავლო წლის მანძლზე? როგორ შეიძლება ეს გამოცდილება გამოვიყენო სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის? რა უნდა გავითვალისწინო ახალი წლის დაგეგმვისას: ადმინისტრაციის, მასწავლებელის, მოსწავლის და მშობლის დონეზე? ინტერვიუს დროს მასწავლებელმა აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში სკოლა შეიმუშავებს დოკუმენტს, სადაც ასახული იქნება სკოლის ძლიერი მხარეები, მიღწევები და ყველა ის ნაბიჯი, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. გამოცდილებაზე დაყრდნობით, მიღებული მიგნებების და რეფლექსიის საფუძველზე შექმნიან სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

კურიკულიმის შემუშვებისა და განვითარების მეთოდოლოგიის თანახმად, ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება სხვადასხვა მიმართულებების მიხედვით. ანალიზის შედეგების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. მასწავლებელმა ინტერვიუს დროს ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სასწავლო წლის განმავლობაში საგნობრივი კურიკულუმის განხორციელებისას მიღებული გამოცდილების, შეფასების შედეგად დანახულ მიგნებებზე დაყრდნობით შეადგენეს და წარმოადგინეს საგნობრივი კურიკულუმები. მასწავლებლებს ერთობლივი მუშაობის შედეგად შემუშავებული აქვთ კომპლექსური დავალებების იდეები. როგორც აღნიშნეს, კურიკულუმების განხილვა და მის განვითარებაზე მუშაობა მომავალშიც გაგრძელდება კათედრებზე და გაითვალისწინებენ როგორც წინარე გამოცდილებას, ასევე მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. სკოლას აქვს მზაობა, რომ კრიკულუმების განხილვა მომავალშიც გაგრძელდეს და გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემდგომშიც წარმოადგინონ კურიკულუმის გადამუშავებულ ვერსია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კურიკულუმები*
- *კათედრის სხდომის ოქმები*
- *ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა*

შეფასება:

გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნა: 131 (ასოცდათერთმეტი) გვერდი

თანდართული დოკუმენტაცია: 599 (ხუთასოთხმოცდაცხრამეტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თარიღი: 23.10.2023